პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

26 იანვარი კვირა 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი • № 22 (14322)

ლენინური პროგრამის ფარგლებში



ქიათურაში მწყობრში ჩადგა საფლოტაციო ფაბრიკის პირველი რიგი. აქ მარგანეცის ნარჩენებისგან მარგანეცის კონცენტრატს იღებენ. პირველი რიგის ამუშავების შედეგად ფაბრიკა ყოველწლიურად 270 ათას ტონა მარგანეცის კონცენტრატს გამოუშვებს, ხოლო მეორე რიგის ამუშავების შემდეგ ფაბრიკის წლიური წარმადობა 400 ათას ტონას მიაღწევს.

სურათებზე: მარჯვნივ — ახალი საფლოტაციო ფაბრიკის საერთო ხედი; ზემოთ — ტრესტ „კაველექტრომონტაჟის“ ჭიათურის უბნის მოწინავე მემონტაჟეები რ. მოდებაძე (მარცხნივ) და გ. ნოზაძე.

ფოტო ა. მამბაპარიანისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

სიახლის ფასი პარტიულ მუშაობაში

ყოველდღიურად მრავალ საკითხს წყვეტენ პარტიული ბიუროები და კომიტეტები. ამასთანავე ისინი ბევრ ადამიანს ხვდებიან. ასეთ პირობებში, პარტიულ ბიუროებსა და კომიტეტებს უნდა შეეძლოთ ვითარების სწორი ანალიზი, ჰქონდეთ იმის უნარი, რომ ხელი ჩასჭიდონ მთავარს, ფიქრობდნენ და ეძიებდნენ, იყურებოდნენ წინ.

ჩვენი რესპუბლიკის პარტიულმა ორგანოებმა, პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც განუხრელად ასრულებენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებს, ცოტა რამ როდი გააკეთეს და აკეთებენ პარტიული ორგანიზაციების ყველა რგოლის ბოლოსუნარიანობის ამაღლებისათვის, პარტიული ხელმძღვანელობის ყველაზე ქმედითი გზების, ხერხების ძიებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორული მუშაობის დონის, მათი როლის შემდგომ ამაღლებას, კომუნისტებში მომთხოვნელობისა და პრინციპულობის აღზრდას. ყოველივე ამან ხელი შეუწყო კომუნისტთა აქტივობისა და პარტიული კოლექტივების ავტორიტეტის ამაღლებას.

ბევრი სიახლე გამოჩნდა უკანასკნელ წლებში რუსთავის პარტიულ ორგანიზაციაში. ერთ-ერთი სიახლეა, მაგალითად, პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მოწყობის წესი. პლენუმზე მოხსენებას კი არ კითხულობენ, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, არამედ რამდენიმე დღით ადრე უგზავნიან პლენუმის წევრებს, რომლებიც თავიანთ შენიშვნებს წერილობით წარადგენენ საქალაქო კომიტეტში. პლენუმი საქალაქო კომიტეტის მდივნის მოკლე შესავალი სიტყვის შემდეგ პირდაპირ კამათის მონაწილეთა გამოსვლებით იწყება.

პლენუმის ასე მომზადება და მოწყობა ეხმარება საქალაქო კომიტეტს საკითხების განხილვასა და სათანადო რეკომენდაციების გამომუშავებაში მიიზიდოს კომუნისტთა ფართო წრე, აამაღლოს მათი შემოქმედებითი აქტივობა და, ამასთან ერთად, საკმაო დროც მოიგოს.

კარგი შედეგები მოსდევს რუსთავში აგრეთვე ცალკეული პარტიული კომიტეტების გაერთიანებულ სხდომებს, რასაც უკანასკნელ ხანებში სულ უფრო ხშირად აწყობენ მეტალურგიული ქარხნის, მშენებლობის ტრესტის, სინთეზური ბოჭკოს ქარხნისა და ქიმიური კომბინატის პარტიული კომიტეტები მშენებლობის საკითხების ერთობლივად, ოპერატიულად გადაწყვეტის მიზნით.

რაიკომის წევრთა გააქტიურების, მუშაობაში მათი ჩაბმის კარგ ფორმას შიაგნო პარტიის ორჯონიკიძის რაიკომმა. პლენუმის წევრები გაერთიანებული არიან პარტიის რაიკომთან არსებულ ხუთ კომისიაში. ეს კომისიები სწავლობენ თავიანთი მოქმედების სფეროს ცალკეულ საკითხებს და შეაქვთ ისინი რაიკომის ბიუროს განსახილველად. კომისიებს აქვთ საშუალო გეგმები, რომლებიც შეთანხმებულია რაიკომის ბიუროს სამუშაო გეგმასთან და რომლებსაც იგი ამტკიცებს.

ასპინძის რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში უკანასკნელ დროს ფართო პრაქტიკული გამოყენება ჰპოვა კომუნისტთა თვითანგარიშების მოსმენამ. ამასთან მთავარი ყურადღება ექცევა არა მარტო კომუნისტთა მიერ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობათა შესრულებას, არამედ კომუნისტთა ურთიერთდამოკიდებულებას კოლექტივში, ყოფაში და სხვაგან.

მთელი რიგი პარტიული ორგანოები აგენებენ ორგანიზატორული მუშაობის ქმედითს ფორმებს, რითაც ისინი აღწევენ სხდომებისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა როდენობის შემცირებას, ისე რომ ოდნავაც არ ასუსტებენ თვით ხელმძღვანელობის დონეს.

მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთ პარტიულ კომიტეტში მაგალითის ძალის შეუფასებლობას იჩენენ. ისინი თავიანთი მუშაობის პრაქტიკაში არასაკმაოდ იყენებენ სხვადასხვა სახის ქმედითს ფორმებს და ცდილობენ ყველა საკითხი გაიტანონ პარტკომის სხდომებზე. ამასთან პარტიული კომიტეტები ზოგჯერ ეწევიან სამეურნეო ხელმძღვანელთა და საბჭოთა ორგანოების წვრილმან მეურვეობას, იჭრებიან მათს ფუნქციებში, ამცირებენ მათს პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისადმი.

ხშირად სრულად არ იყენებენ ამ დიდ რეზერვებს თავიანთი მუშაობის ახალ სიმაღლეზე ასაყვანად საბჭოთა ორგანოები, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები.

კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკა მუდმივად აყენებს ჩვენს წინაშე ბევრ პრობლემას, რომლებიც მოითხოვენ პარტიული მუშაობის სტილის შემდგომ გაუმჯობესებას, პარტიული გავლენის გაძლიერებას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ამ სამოდე კვირის წინათ რესპუბლიკის პრეზიდიუმს პარტიულ ორგანიზაციებში დამთავრდა ანგარიშგება-არჩევნები. უფრო ადრე ასეთივე კამპანიები მოიწყო პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში. ანგარიშგება-არჩევნებმა გვიჩვენა, თუ როგორ გაიზარდა უკანასკნელ დროს პარტიული აქტივის, ყველა კომუნისტის ინტერესი პარტიული მუშაობის ფორმების გაუმჯობესების, მისი დონისა და შინაარსის სრულყოფისადმი. კარგი იქნება, თუ კომუნისტთა საქმიან წინადადებებსა და შენიშვნებს შევიტანთ პარტიული კომიტეტების ძირითად ღონისძიებათა სპეციალურ გეგმაში.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციას აქვს მოსკოვისა და ლენინგრადის პარტიულ ორგანიზაციებთან უშუალო კონტაქტების კარგი ტრადიცია. როგორც ცხოვრებამ ცხადყო, ეს კონტაქტები, მოწინავეთა მუშაობის ფორმებისა და მეთოდების ადგილზე უშუალოდ გაცნობა, შემდგომ კი შეუნელებელი ზრუნვა მათი დანერგვისათვის, კარგ შედეგებს იძლევა. ამიტომ შემდგომშიც უნდა გავაგრძელოთ და განვავითაროთ ეს კარგი ტრადიცია. მაგრამ ზოგჯერ მოწინავე გამოცდილების შესაძენად შორს წასვლაც არ გვჭირდება. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, ამა თუ იმ რაიონსა და ქალაქში, რომლებიც მრავალ ათეულ და ასეულ პირველად პარტიულ ორგანიზაციას ითვლიან, არც თუ იშვიათად იბადება პარტიული მუშაობის ახალი, პროგრესული ფორმები, რომლებიც აუცილებელი ყურადღებისა და ფართოდ გავრცელების ღირსია.

საჭიროა პარტიული ბიუროებისა და პარტიული კომიტეტების სხდომებზე რეგულარულად განვიხილავდეთ პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების გამდიდრების, მოწინავე გამოცდილების ფართოდ გავრცელების საკითხებს. ამავე მიზანს უნდა ემსახურებოდეს კარგად მოწყობილი შესრულების შემოწმებაც. კვლავაც ყოველმხრივ უნდა წავახალისოთ თეორიული კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა, რაც საფუძვლიანად დამკვიდრდა ჩვენი პარტიული კომიტეტებისა და პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში.

და, ბოლოს, უნდა შევჩერდეთ მოწინავე გამოცდილების გავრცელების საქმეში პრესის, რადიოსა და ტელევიზიის დიდ როლზე, საჭიროა გაზეთების ფურცლებიდან, ეთერიდან და ცისფერი ეკრანიდან მძლავრად გაისმოდეს სიტყვა იმ პარტიული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა, რომლებმაც პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მნიშვნელოვანი გამოცდილება შეიძინეს.

მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მხარი დავუჭიროთ და ფართოდ გავავრცელოთ ყოველივე დადებითი, პროგრესული, რასაც ყოველდღიურად შობს მოწინავე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკა.

ხუთწლედი — ვადაგმდე!

რუსთავი. (საკ. კორ.). მეგობრობა ასე დაიწყო. მეტალურგიული ქარხნის დგან „900“-ის მეალეკავთა ბრიგადირმა სერგო გოგოლაძემ გზებიების საშუალებით შეიტყო, რომ ჩუსოვაიას (რუსეთი) მეტალურგიულ ქარხანაში ერთ-ერთ მოწინავე მეალეკავეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს არკადი კოპანჩუკი.

ქართველმა მეტალურგმა გადაწყვიტა წერილით მიეცნო თავისი რუსი კოლეგა და მიეცა წინადადება ურთიერთშორის გაეჩინა სოციალისტური შეჯიბრება. წერილი, რომელიც ს. გოგოლაძემ ა. კოპანჩუკს გაუგზავნა, თავის ფურცლებზე დაბეჭდა მრავალტირაჟიანმა გაზეთმა „მეტალურგმა“.

და აი რუსეთიდან მოვიდა პასუხი: „ჩუსოვაიას მეტალურგიული ქარხნის დგან „250“-ის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, — წერს ა. კოპანჩუკი, — ყურადღებით გაეცნო თქვენს წერილსა და ნაკისრ ვალდებულებებს. სიხარულით ვიღებთ გამოწვევას“...

შემდეგ წერილში ლაპარაკია იმ ვალდებულებებზე, რომლებსაც ქართველ მეტალურგებთან შეჯიბრებაში კისრულობენ რუსი მეტალურგები. „ჩვენ გვწამს, — ნათქვამია წერილში, — რომ ქართველი და ურალელი მგლანაგების შეჯიბრება ბევრ შესანიშნავ საჩუქარს მოუმზადებს დიად თარიღს, ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

რუსთავი — ჩუსოვაია

შეჯიბრება გაჩაღდა

რიტმულად...

ქუთაისი. (საკ. კორ.). სასახელოდ შრომობს ახალი წლის პირველი დღეებიდანვე „ქუთაისის ბარიტის“ მაღაროთა სამმართველოს კოლექტივი. ფიეიკეგარის მაღაროს, რომელსაც გამოცდილი სპეციალისტი ს. კეთილაძე უძღვება, ვადამდე შესრულა იანვრის დავალება და ასობით ტონა ზეგეგმითი მაღალხარისხოვანი ბარიტი ამოიღო. გამართულად მუშაობს ქუთაისის ბარიტის ქარხნის (უფროსი გ. კიკნაძე) კოლექტივიც, რომელმაც იანვრის ორი დეკადის დავალება 114 პროცენტით შეასრულა და ვადაზე ადრე გაუგზავნა ფლოტირებული ბარიტი ჩვენი ქვეყნის ნავთობის სარეწებს.



სამშობლო მიესალმება გმირებს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო კვლავ იღებენ დეპეშებსა და წერილებს, რომლებშიც სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა კოლექტივები, ტრანსპორტის მუშაკები, სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერები, მასწავლებლები, სტუდენტები, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები გამოთქვამენ თავიანთ აღტაცებას კოსმოსური სივრცის ათვისებაში საბჭოთა ხალხის ახალი გამარჯვების გამო, მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა კავშირის გმირებს, სსრ კავშირის კოსმონავტ მფრინველებს ვლადიმერ შატალოვს, ბორის ვოლინოვს, ალექსი ელისეევსა და ევგენი ხრუნოვს მათს დიდ გმირობას. მუშები კისრულობენ გაზრდილ სოციალისტურ ვალდებულებებს, პირობას დებენ დიდსულოვან შეხვედრენ მოახლოებულ დიად თარიღს — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

მისალოცი დეპეშები გამოგზავნეს უზბეკეთის სსრ ტაშკენტის ოლქის ვერხნი ჩირჩიკის პარტიაკომმა, აზერბაიჯანის კომპარტიის ივლახის საქალაქო კომიტეტმა, ტარტუს ავტოსარემონტო ქარხნის (ესტონეთის სსრ), ბაქოს ეროფკინის სახელობის სამსხვერლო-მექანიკური ქარხნის, სპასკის ცემენტის ქარხნის (ზღვისპირეთის მხარე), ნოვოჩერკასკის მოდმიერ მაგნიტების ქარხნის (როსტოვის ოლქი) და სხვა საწარმოთა კოლექტივებმა.

კოსმოსის გმირებსა და საბჭოთა მეცნიერებს დიდ გამარჯვებას ულოცავენ: ახმეტის რაიონის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის, გორაანის რაიონის კარდანახის მეგნიანეობის საბჭოთა მეურნეობის (საქართველოს სსრ) მუშები, ზატონსკის სახელობის (ყირიმის სსრ, ხმელნიცკის ოლქი), ზღვისპირეთის მხარის მიხაილოვის რაიონის ლენინის სახელობის, ხარაზნის ოლქის ხიფის რაიონის ლენინის სახელობის (უზბეკეთის სსრ) სასოფლო-სამეურნეო არტელებს კოლმეურნეები, ნამანგანის პედაგოგიური ინსტიტუტის, ნოვოჩერკასკის ს. ორჯონიკიძის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მასწავლებლები და სტუდენტები, ქალაქ ბუხარის ს. ინის სახელობის სკოლის მოსწავლეები, აპარის ასსრ სოფელ წაბლანის მშრომელები და სხვები. (საქდესი).

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის ბიუროში

24 იანვარს გაიმართა სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის კომიტეტის ბიუროს სხდომა.

სხდომაზე მოისმინეს სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის დელეგაციის ანგარიში, თუ რა მონაწილეობა მიიღო მან საპარლამენტო დოკუმენტაციის საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი საბჭოს სხდომებსა და სიმპოზიუმში „პარლამენტი და საზოგადოებრიობასთან კავშირის საშუალებანი: პრესა, რადიო, ტელევიზია“, რომლებიც 1968 წლის დეკემბერში გაიმართა ულანეგაში.

განხილულ იქნა აგრეთვე საკითხი — სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის მზადება საპარლამენტთაშორისო კავშირის ორგანოთა საგაზაფხულო სხდომებისათვის, რომლებიც აპრილში გაიმართება ვენაში.

სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის თავმჯდომარემ ი. ვ. სპირიდონოვმა კომიტეტის ბიუროს წევრებს უამბო თავისი ვიზიტის შესახებ ფინეთში.

(საკდესი).

აღგილობრივი საბჭოების არჩევნებში პროფკავშირულ ორგანიზაციათა მონაწილეობის შესახებ

მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების ბრძანებულებათა საფუძველზე 1969 წლის მარტში ეწყობა მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების არჩევნები, რაც დიდმნიშვნელოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენაა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, აფასებს სოციალისტური დემოკრატიის განუხრელ განვითარებას, მშრომელთა ფართო მასებთან ხელისუფლების ორგანოების კავშირის შემდგომ განმტკიცებას და კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში მასების სულ უფრო აქტიურ მონაწილეობას.

მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო, საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების მზადებისა და მოწყობის საარჩევნო კამპანია მიმდინარეობს საბჭოთა ადამიანების შრომითი აქტივობისა და შემოქმედებითი ინიციატივის უდიდესი აღმავლობის ვითარებაში სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის, ხუთწლედის ვადამდე დამთავრებისათვის ბრძოლაში, რათა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს შეეხვედეთ ახალი წარმატებებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

ანგარიშს რა დიდ მნიშვნელობას მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოებს მომავალ არჩევნებს, საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმი აღგენს:

1. დაევალოს პროფკავშირთა საბჭოებსა და კომიტეტებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ აღგილობრივი საბჭოების არჩევნების მომზადებასა და მოწყობაში; ყოველი ღონისძიებით შეუწყონ ხელი საარჩევნო კომისიების მუშაობას, მათს შემადგენლობაში რეკომენდაცია მისცენ წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს, პროფკავშირულ აქტივისტებს; აქტიური მონაწილეობა მიიღონ მუშა-მოსამსახურეთა კრებების მოწყობაში დეპუტატობის კანდიდატთა დასახელებისათვის; ფართოდ გაშალონ აგიტაცია იმისათვის, რომ აღგილობრივი საბჭოების დეპუტატებად, აგრეთვე სარაიონო (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულებად აირჩიონ კომუნისტებისა და უპარტიოების ურჩეველი ბლოკის, მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის წარმომადგენელთა ღირსეული კანდიდატები.

2. ამომრჩეველთა შორის საგიგიტაციო-მასობრივი მუშაობის მოსაწყობად პროფკავშირთა საბჭოებმა და კომიტეტებმა ფართოდ გამოიყენონ პროფკავშირული პრესა, რადიო, კინო, ტელევიზია, თვალსაჩინო აგიტაციის საშუალებანი, პროფკავშირთა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების ჭესელი — კლუბები, კულტურის სახლები და სასახლეები, წითელი კუთხეები, ბიბლიოთეკები; მოაწყონ მუშებისა და მოსამსახურეების შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან; მოაწყონ მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოების არჩევნებისადმი, მხარის, ოლქის, რაიონის სახალხო მეურნეობის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის მიღწევებისა და განვითარების პერსპექტივებისადმი მიძღვნილი გამოფენები.

3. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა მშრომელთა დეპუტატების აღგილობრივი საბჭოებისა და სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების არჩევნების საარჩევნო კამპანიის დროს უნდა გააუმჯობესონ მუშაობა მშრომელთა წერილებისა და საჩივრების განხილვისათვის, გააძლიერონ კონტროლი შრომის კანონმდებლობის დაცვისადმი, განახორციელონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის გაფართოების, სავაჭრო და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანი.

საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების კონფერენცია

24 იანვარს მოსკოვში გაიმართა საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობის საზოგადოების მეორე სრულიად საკავშირო კონფერენცია.

კონფერენცია გახსნა საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ა. გერასიმოვმა.

მომხსენებელმა — გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ს. ლ. ტიხვინსკიმ განაცხადა, იცავს რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ურყევ კურსს შეინარჩუნონ და განამტკიცონ მეგობრობა ჩინელ ხალხთან, საზოგადოებამ განახორციელა და ახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც დაკავშირებულია ისტორიულ თარიღებთან და ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლების, ჩინეთის კომუნისტი-ინტერნაციონალისტების საქმიანობასთან.

— საბჭოთა ადამიანები, — თქვა ორატორმა, — მაო ძე-დუნის ჯგუფს არასოდეს არ აიგივებდნენ ჩინელ ხალხთან, ჩინელ კომუნისტებთან. საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობას განსაზღვრავს ორი ქვეყნის მშრომელთა ერთობლივი მიზნები და ინტერესები, სოციალიზმისა და კომუნიზმისათვის, მშვიდობისა და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის ერთობლივი იდეალები. სსრ კავშირი საერთაშორისო ასპარეზზე კვლავ მტკიცედ უჭერს მხარს, რომ აღადგინონ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის უფლებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შეუერთდეს ტაივანის კუნძული, რომელიც ჩინეთის განუყოფელი ნაწილია.

ყოფილმა მთავარმა სამხედრო მრჩეველმა ჩინეთში გენერალ-ლეიტენანტმა ა. ი. ჩერეპანოვმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის სამმართველოს უფროსის მოადგილემ პ. ნ. ლისოვმა, საზოგადოების ლენინგრადის განყოფილების თავმჯდომარემ პროფესორმა გ. ვ. ეფიმოვმა, მოსკოვის ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორის მოადგილემ ა. ი. კოსიცინმა და სხვა ორატორებმა ილაპარაკეს იმ დახმარებაზე, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ გაუწია ჩინელ ხალხს მის განმათავისუფლებელ ბრძოლაში, სოციალისტური ეკონომიკის შექმნაში. ილაპარაკეს აგრეთვე, თუ როგორ მუშაობენ საზოგადოების აღგილობრივი განყოფილებანი ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში.

არჩეულია საზოგადოების გამგეობის ახალი შემადგენლობა. თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს საზოგადო მოღვაწე ა. ა. ანდრეევი.

გამარჯვებულთ 5 მაისს ღაპსახელებენ

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირში გაიმართა კავშირის ყოველწლიურ პრემიათა მიმნიჭებელი კომისიის სხდომა.

წელს პრემიების მოსაპოვებლად ნამრომების წარდგენის ვადა გაგრძელებულია 1 მარტამდე. ამ დროისათვის ჟურნალისტთა რესპუბლიკურმა, სამხარეო და საოლქო ორგანიზაციებმა, ცენტრალური გაზეთების, ჟურნალების, რადიოს, ტელევიზიის, საკავშირო, ახალი ამბების საგენტოს რედაქციებმა კომისიას უნდა წარუდგინონ 1968 წელს პრესაში გამოქვეყნებული, რადიოთი ან ტელევიზიით გადაცემული საუკეთესო ჟურნალისტური ნამუშევრები, რომლებმაც ფართო საზოგადოებრივი ალიარება მოიპოვეს.

კონკურსში გამარჯვებულთ ტრადიციისამებრ დაასახელებენ პრესის დღეს—5 მაისს. (საკდესი).

ციმგირის ნავთოგი

ტიუმენი. დაახლოებით სამი ათასი მეტრი სიღრმის ჭაბურღილიდან ამოხეთქა ნავთობმა ვუბკინის საბადოში, რომელიც ადრე გაზის საბადოდ ითვლებოდა. ახალი ჭაბურღილი 300 ტონა სათბობს იძლევა დღე-ღამეში.

(საკდესის კორ.).

ძმა ძმისთვის...

ასე ზრუნავენ სტიქიისაგან დაზარალებული ძალაქებისა და სოფლებისათვის

სამტრედია. „კომუნისტის“ კორ.). სტიქიამ დიდი ზიანი მიაყენა რაიონს. სახურავები გადახადა საცხოვრებელ სახლებს, სკოლებს, საავადმყოფოებს, მეცხოველეობის ფერმებს. დაზარალებულებს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს ქარელის რაიონის მშრომელებმა. მათ თავიანთი ტრანსპორტით ადგილზე ჩაუტანეს ბევრი შიფერი, ხის მასალა, ფანჯრის მინა, ცემენტი, რუბეროიდი და სხვ.

თბილისიდან ჩამოვიდნენ დურგლები და მეთუნუქეები. მათ 10 დღის განმავლობაში დაუღალავად იშრომეს კომუნალური სახლებისა და სკოლების შეკეთებაზე. მათი დახმარების შედეგად დღეს სკოლებში და საავადმყოფოებში ნორმალური მუშაობა მიმდინარეობს.

რაიონის მშრომელებს ფასდაუდებელი დახმარება აღმოუჩინა საგარეჯოს რაიონიდან ჩამოსულმა სარემონტო ბრიგადამ, რომელსაც ორმოცაძე ხელმძღვანელობდა. ბრიგადამ მოკლე დროში შეაკეთა დაბა კულაშში კომუნალური სახლი.

სამტრედიის რკინიგზელთა დასახმარებლად ჩამოვიდნენ თბილისელი და ერევნელი მუშები, რომლებიც ენერგიის დაუზოგავად მუშაობენ გრიგალის შედეგების აღმოფხვრისათვის.

ზუგდიდი. (კომუნისტის“ კორ.). აქ ორგანიზებულად მიმდინარეობს სტიქიისაგან დაზიანებული საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების შეკეთება. 26 სასოფლო საბჭოში შეიქმნა სარემონტო ბრიგადები, რომლებიც დღე-ღამეს ასწორებენ იმისათვის, რომ მოკლე დროში მთლიანად დაამთავრონ ყველა დაზიანებული ობიექტის შეკეთება.

გრიგალმა ზიანი მიაყენა მეცხოველეობის ფერმებსაც. სახურავი გადახადა პირუტყვის სადგომებს, წაიღო უხეში საკვები. წითელწყაროს რაიონის კოლმეურნეობებმა ზუგდიდელებს ძმური დახმარების ხელი გაუწოდეს. რამდენიმე დღის წინათ უკვე მიიღეს 200 ტონა ნამჯა და 40 ტონა კომბინირებული საკვები. წითელწყაროდან დამატებით კიდევ მოელიან 400 ტონა ნამჯას.

• • •

სურათზე: ქარელის რაიონიდან სამტრედიაში ჩასული ავტოკოლონა.

ფოტო თ. ფუტკარაძისა.



აქ ზამთარშიაც მოაქვთ ყვავილები





ქალაქები ადამიანებივით რომ ავსებდნენ ანკეტებს, ლენინგრადის ანკეტა დაახლოებით ასეთი იქნებოდა:

სახელი — სანკტ-პიტერბურხი („სანკტ“ — „წმინდას“ ნიშნავს), პეტერბურგი, პეტროგრადი. ხალხის ნებით 1924 წლის იანვარში მიწოდეს ლენინგრადი.

დაბადების წელი, თვე და რიცხვი — 1703 წლის 16 მაისი.

საქმიანობა — მეზღვაური, გემთმშენებელი, ჩარხმშენებელი...

განათლება — უმაღლესი. 1725 წელს დაარსდა მეცნიერებათა აკადემია, ხოლო 150 წლის წინათ უნივერსიტეტი. ამჟამად 42 უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს ათი ათასობით სტუდენტი.

მონაწილეობდი თუ არა ბრძოლებში — აქ აფრიალდა მუშების სისხლით შედებილი დროშა რუსეთის პირველი რევოლუციის დროს 1905 წელს. აქ იქნა დამხობილი 1917 წლის თებერვალში რუსეთის მონარქია. აქედან ლენინდარული „ავრორის“ გასროლით დაიწყო ისტორიის ახალი ფურცელი. 1919 წელს ვიბრძოდი გენერალ იუდენიჩის წინააღმდეგ...

მთავრობის რა ჯილდოები გაქვთ მიღებული — წითელი დროშის ორდენი, ლენინის ორი ორდენი, საბჭოთა კავშირის გმირის ოქროს ვარსკვლავი, მედალი „ლენინგრადის დაცვისათვის“, ოქტომბრის რევოლუციის ორდენი. ლენინგრადის ფრონტის 350 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით, 226 ლენინგრადელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

რომლი უცხო ენები და საბჭოთა კავშირის ხალხთა ენები იცით — ბევრი, მაგრამ ძირითადია მეგობრობის ენა.

ოჯახური მდგომარეობა — 3 მილიონ 700 ათასი მცხოვრები.

და კიდევ რომ ყოფილიყო გრაფა „ხასიათი“, ქალაქი ასეთს უხეებდა: მშვიდობისმოყვარე, მხიარული, ოპტიმისტური...

ისტორიაში ცოტა როდია ცხისმიგარეთა და ქალაქთა გმირული დაცვის მაგალითი. მაგრამ წარსულის ლეგენდები და ტრაგიკული ფურცლები უფერულია ლენინგრადის 900-დღიან დაცვასთან.

ყოველივე ეს კი დაიწყო ასე... 1941 წლის ივლისის დასაწყისში მტერი შემოიჭრა ლენინგრადის ოლქის საზღვრებში. მის მხარეზე იყო: 300 ათასზე მეტი ჯარისკაცი, 6000 ქვემეხი, 5000-მდე ნაღმსატყორცნი, 1000 ტანკი, 1000 თვითმფრინავი.

20 აგვისტოს შეიკრიბა პარტიული აქტივი. ცნობა ფრონტზე მდგომარეობის შესახებ გააკეთეს კ. ე. ვოროშილოვმა და ა. ა. ჟდანოვმა. მეორე დღეს მოსახლეობის ყურადღება მიიპყრო ფრონტის სამხედრო საბჭოს პარტიის საქალაქო, კომიტეტისა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოს გამოქვეყნებულმა მომართვამ. იგი როგორც ნაღარა ყველას ქალაქის დასაცავად მოუწოდებდა.

საბჭოთა ჯარების დასახმარებლად მოვიდა სახალხო ლაშქარი, რომლის რიგებში 160 ათასამდე კაცი იყო. ლენინგრადელებმა გათხარეს 626 კილომეტრი საერთო სიგრძის ტანსაწინააღმდეგო თხრილები, ქუჩის ბრძოლების შემთხვევისათვის აღმართეს 35 კილომეტრი სიგრძის ბარიკადები. ეს სამუშაოები დაეკალა კომისიას, რომელსაც სათავეში ედგა პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ა. ჟდანოვი.

აგვისტოში მტერმა ხელთ იგდო რკინიგზის უკანასკნელი ხაზი, რომელიც ქალაქს ჩვენს ქვეყანასთან აკავშირებდა. 4 სექტემბერს დაიწყო ლენინგრადისათვის პარტიერიის ციეხლის დაშენა, ხოლო 8 სექტემბერს იგი ალყამშორტყმული აღმოჩნდა. ქალაქი ფრონტად იქცა და თვითეული მცხოვრები მებრძოლი გახდა. მტრის პრესა იკვეხნიდა, ლენინგრადიც ისე იქნება ალებული, როგორც პარიზიო. მთავარსარდლობამ ქალაქის ერთ-ერთ მოედანზე ჯარების პირველი აღლუმის დღეც კი დანიშნა და ქალაქის კომენდანტიც შეარჩია.

გადიოდა დღეები... მაგრამ ალყაშემორტყმულნი ფირხმალს არა ყრიდნენ. მტერი დღითიდღე აძლიერებდა ქალაქის დაბომბვას. დღეღამის განმავლობაში 9 საათზე მეტ ხანს ისმოდა ჟუჟვების აფეთქების ხმა. გერმანელებმა ლენინგრადს დაუშინეს 107.158 ბომბი და 150 ათასი მძიმე ყუმბარა. სისხლით შეიღება ქალაქის გრანიტი... უზარმაზარ სალ კლდედ იდგა ქალაქი. მაშინ ჰიტლერელებმა გადაწყვიტეს იგი შიმშილით მოეხშოთ. ჰიტლერი დაეხინებით გაიძახოდა: „ლენინგრადი თვითონ ასწევს ხელს: მისი დაცემა, აღრე თუ გვიან, გარდუვალია. იქიდან ვერავინ ვერ განთავისუფლდება, ვერავინ ვერ გაარღვევს ჩვენს ხაზს. ლენინგრადს შიმშილით სიკვდილი უწერია“.

უაღრესად მძიმე მდგომარეობა შეიქმნა. შემოღებულ იქნა პურის მინიმალური დღიური ნორმები. 250 გრამი ეძლეოდათ მუშებს, 300 ზურგში მყოფ ჯარიკაცებს, 500 — წინა ხაზზე მყოფ მებრძოლებს. ბავშვები, მოხუცები, მოსამსახურეები იღებდნენ მხოლოდ „125 საალყო, ტყვიითა და სისხლით გაზავებულ ეკმაზს“, როგორც წერდა პოეტი ოლგა ბერგოლეცი. ქალაქს შემოაკლდა სამბობი, გაჩერდა ტრანსპორტი, მწყობრიდან გამოვიდა წყალსადენი. საავადმყოფოებისა და ჰოსპიტლების გასამბობად შლიდნენ ხის ნაგებობებს.

დრო მიდიოდა... მაგრამ ალყაში მყოფთ ჰქონდათ რწმენა, რომ გაიმარჯვებენენ. გასთქმული ციროვის სახელობის ქარხანა, რომელიც უშუალოდ ფრონტის ხაზთან იყო და რომელსაც მტერი ასობით ჟურავს და ბომბს უშენდა, გასაგრძობდა ნაღმებისა და ტანკების გამოშვებას.

ჩვენი ქვეყანა არცერთი წუთით არ ივიწყებდა ლენინგრადელებს. 1941 წლის ნოემბერში ლადოგის ტბაზე 40 გრადუსიან ყინვაში გაყვანილ იქნა გზა, რომელიც ისტორიაში „სიცოცხლის გზის“ სახელით შევიდა. ზამთრის მრისხანე ამინდში, მტრის გაფთრებულ ცეცხლის ქვეშ გზაზე დაიწყეს სიარული ავტომანქანებმა, რომელებსაც პროდუქტები მოჰქონდათ. მალე გაყვანილ იქნა რკინიგზის ხაზი.

ქალაქელი ბიბლიოთეკა

ქალაქის ფოსტიდან

● კოლხიდის ზღვისპირა ქალაქის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებს ამ დღეებში შეემატა ინდივიდუალური კერვის ფაბრიკა, რომელიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველომ (უფროსი მ. სესკურია) აკო. ფაბრიკას 80-ზე მეტი მკერავი ემსახურება.

ლამაზად მორთული დარბაზები დათმობილი აქვს ქალისა და მამაკაცის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის სამკერვალოებს, მოსაცდელ სალონებს, გასასინჯ განყოფილებებს.

ბ. კოშაბაძე.

● ჩხოროწყუს რაიონის მოსახლეობა ხალისით იძენს გაზქურებს და ცისფერი ალის სიკეთით სარგებლობს. ამჟამად 1.400-ზე მეტი ოჯახი აყენებს გაზს. წელს დაგეგმილია რაიონში დამონტაჟდეს 500 გაზქურა.

ბ. გულუა.

● დღვანის უბნის სამ ბრიგადაში შესაკეთებელი იყო შიდასამლინტაციო გზები. შეკეთება იესარა გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა. შეკეთებულია გზა ტალერ-დღვანის მიმართულებით.

მეურნეობამ დღვანელებს კიდევ ერთი კარგი საქმე გაგვიკეთა — დღვანამდე 4 კილომეტრის სიგრძის ახალი გზა გაიყვანა. ამჟამად მიმდინარეობს მისი მოხრეშვის სამუშაოები.

ო. ჩარგაზია.

● ცხმორისი ქედის რაიონში ერთ-ერთი დიდი სოფელია ის დღითი დღე მშვენდება. ახლახან ცხმორისს ახალი უნივერმაღი შეემატა.

ბ. კათალიკაძე.

გუშინდელი ფოსტიდან

ჩვენი ქვეყნის მთელ ხალხთან ერთად თავგანწირვით იცავდნენ მტრისაგან თავიანთ ქალაქს ლენინგრადელები.

ეს ფოტოსურათები გადაღებულია ლენინგრადის ბლოკადის ისტორიულ დღეებში. სურათებზე: მარცხნივ — ტანკები სასახლის მოედნიდან მიემართებიან ფრონტზე. მარჯვნივ — ქვემოთ — ნევის პროსპექტი არტილერიის დაშენის დროს; ცენტრში — კიროვის ქარხნის მუშები სამხედრო მეცადინეობაზე მიდიან; ზემოთ — საბჭოთა მზვერავები პულკოვოს მაღლობებზე.

ფოტო ბ. კუდრიავცევისა,
(ახალი ამბების საგაზეთო)

მეცნიერების პროგლემები

ნეიროფიზიოლოგთა გაგრის საუბრები

ყოველ სამ-ოთხ წელიწადში აკადემიკოს ი. ბერიტაშვილის ინიციატივით გაგრაში ეწყობა ნეიროფიზიოლოგთა სიმპოზიუმები, რომლებიც ცნობილია როგორც „გაგრის საუბრები“. ამ დღეებში ზღვისპირეთის კურორტზე გაიმართა მეხსიერების პრობლემებისადმი მიძღვნილი მეცნიერთა მეექვსე ფორუმი. საქდესის კორესპონდენტმა სთხოვა რამდენიმე მეცნიერს მოეთხროთ თავიანთი კვლევის შესახებ.

□

შევიმუშაოთ ერთიანი აზრი

ი. ს. ბერიტაშვილი,
სოციალისტური შრომის გმირი, აკადემიკოსი.

10-15 წლის წინათ მეცნიერნი დაინტერესდნენ მემკვიდრეობითი მეხსიერებით, რომელიც განაპირობებს ორგანიზმის ემბრიონულ განვითარებას. ჩვენ ვიკვლევთ ფსიქონერვულ მეხსიერებას. იგი გამოიხატება იმით, რომ ერთხელ აღქმული ობიექტი გვაგონდება მერე, მრავალი დღის ან წლების შემდეგ. გარდა ასეთი ხანგრძლივი მეხსიერებისა, არის ხანმოკლე მეხსიერებაც, რომელიც რამდენიმე წუთს ან საათს გრძელდება. ეს არის წარმოსახვითი მეხსიერება. იგი ემყარება ერთხელ აღქმული ობიექტის რეპროდუქციას. ვანსხვავებთ სხვა სახეობათა მეხსიერებასაც — ემოციურსა და პიროვნებით-რეფლექსურს ან როგორც მას კიდევ უწოდებენ სტრუქტურულ მეხსიერებას (მას უკავშირებენ ცვლილებებს ნერვული სისტემის აგებულებაში).

მიუხედავად იმისა, რომ მეხსიერების შესახებ ბევრი ვიცოდეთ, ჯერ-ჯერობით ბევრ საკითხზე ერთიანი აზრი არ გვაქვს. ეს ეხება ასევე ამ ფენომენის ბუნებას, ადგილმდებარეობას, ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, ფუნქციურ ორგანიზაციას, ასევე ინფორმაციის ფიზიკურ ბუნებას, ინფორმაციის ინტეგრაციის ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, ინფორმაციის ინტეგრაციის ადგილმდებარეობას, ინფორმაციის ინტეგრაციის ფიზიოლოგიურ ბუნებ

საერთაშორისო ცხოვრება

ხო ში მინის ფერილი

ჰანოი, 25 იანვარი. (საკდესი). პრეზიდენტმა ხო ში მინმა წერილი გაუგზავნა არაბ ხალხთა მხარდამჭერს მეორე საერთაშორისო კონფერენციას.

წერილში, რომელიც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ გადასცა, კერძოდ, ნათქვამია: ვიეტნამელი ხალხის სახელით მხურვალედ მივესალმები არაბ ხალხთა მხარდამჭერის საერთაშორისო კონფერენციას. თქვენი კონფერენცია გამომატავს აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკის ხალხების, მსოფლიოს მთელი პროგრესული ძალების სოლიდარობას არაბი ხალხებისადმი.

„ვიეტნამელი ხალხი, — ნათქვამია შემდეგ წერილში, — გადაჭრით ამბობს ისრაელ აგრესორებს და მოითხოვს, რომ მათ ყველა დაიყვარონ ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან. დაუბრუნონ პალესტინელ ხალხს მისი კანონიერი და ხელშეუვალი უფლებანი. ვიეტნამელი ხალხი სავსებით უჭერს მხარს პალესტინელი ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობას და სამართლიან ბრძოლას, რომელსაც არაბი ხალხი ეწევა ისრაელი ოკუპანტებისაგან თავისი ტერიტორიის განთავისუფლებისათვის, რითაც ხელს უწყობს მშვიდობის შენარჩუნებას შუა აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში.

ხო ში მინმა მადლობა გადაუხადა კონფერენციის მონაწილეებს, რომლებმაც მოიწონეს და მხარი დაუჭირეს ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ ეროვნული ხსნისათვის ვიეტნამელი ხალხის ბრძოლას.

მხოლოდ ფაქტები

● ნიუ-იორკი, 25 იანვარი. (საკდესი). უშიშროების საბჭომ მოიწონა რვა ქვეყნის — საბჭოთა კავშირის, ალჟირის, უნგრეთის, ზამბიის, ესპანეთის, კოლუმბიის, პაკისტანისა და ჩინეთის რეზოლუციის ერთობლივი პროექტი, რომელიც ფიცავას წინადადებას, რომ რუსული და ესპანური ენები შემოიღოს უშიშროების საბჭოს საამუშაო ენებად.

● პარიზი. 25 იანვარი. (საკდესი). დღეს 12 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით პარიზში კლებერის ქუჩაზე საერთაშორისო კონფერენციების სახლში გაიხსნა ვიეტნამის შესახებ პარიზის თათბირის პირველი პლენარული სხდომა, რომელშიც მონაწილეობენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლ ე ბ ი ს ეროვნული ფრონტის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის ადმინისტრაციის დელეგაციები.

● ჰანოი, 25 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების არმიის რაზმებმა 4-დან 13 იანვრამდე ორჯერ შეუტიეს ლოტეს სამხედრო აეროდრომს კანთხოს პროვინციაში, მოსპეს მოწინააღმდეგის 75 თვითმფრინავი, მწყობრიდან გამოიყვანეს ამერიკა-საიგონის ჯარების ორასზე მეტი ჯარისკაცი.

ჰარიზი, 24 იანვარი. (საკდესი). ფრანკოს მთავრობამ გუშინ გამოაცხადა, რომ ესპანეთში შემოღებულია საგანგებო წესები სამი თვის ვადით. როგორც ფრანს პრესის სააგენტოს მადრიდელი კორესპონდენტი იტყობინება, საგანგებო წესები ესპანეთში გამოცხადდა იმასთან დაკავშირებით, რომ მკვეთრად გაძლიერდა სტუდენტთა მოქალაქეობრივ

გაწყვიტეს დიპლომატიური ურთიერთობა

ბანგი, 24 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა, რომელიც ირანში იყო ირანის მთავრობის მოწვევით, საგანგებო ფოსტით ირანის მთავრობასთან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა. ამ შეხვედრებს დროს ირანის ხელმძღვანელ კ. ხ. ბარუას:

— ახლა ეს სტატია ისტორიული მატიანის ფურცელია, — შენიშნავს ბარუა. — ალტაიელებს იწვევს განცვიფრების უნარი, რომელიც მოპოვებულ პანდიჯის (დიდი მოძღვარი, მიმართვა ჯ. ნერუსადმი — ვ. ს.), მის შეფასებათა სიზუსტე. ვეფხვიან საფეძველზე განვითარებამ, რაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში დაიწყო, მართლაც გარდაქმნა ასამი. დასავლეთიდან მოსული ქრისტიანი მისიონერები თანდათანობით გამოდიან ინდოელ პედაგოგთა აზრამ, რომელშიც 14 ათასზე მეტი კაცია. გაჩნდა ბიბლიოთეკები, რომლებიც წინათ სრულებით არ ყოფილა სოფლებში. სოფლის მეურნეობაში, სადაც დასაქმებულია შტატის მოსახლეობის 60 პროცენტი, პოზიციებს განიმტკიცებს კოოპერაცია. იქმნება კოოპერაციული შაქრის ფაბრიკები, ხე-ტყის სახერხი ქარხნები. მთავრობის ორგანიზებმა უკანასკნელ ხანს თესლისა და იხვიტარის შესაძენად ფულადი სესხი მისცეს 520 ათას გლეხთა ოჯახს.

ბარუამ თვალი შეავლო რუკას, სადაც ინდოეთის აღმოსავლეთ საზღვართან ამაყად წამოჭიმულია მამლის სიულეტი. ასამს ახლა საამაყო აქვს: ინდოეთში ყოველი მეორე ფინჯანი ჩაი დაყენებულია ასამის ოქროსფერი, სუნნელოვანი ჩაით. სწორედ ის პლანტაციები, რომლებსაც თავის სტატიაში ჯავაჰარლალ ნერუ იხსენიებდა, ახლა ინდოეთის ჩაის ფთოლის მთელი მოსავლის ნახევარზე მეტს იძლევიან. ინდოეთის ჩაი ახლა მიდის როგორც შინაგან მოხმარებაზე, ისე საექსპორტოდაც.

...მანქანა მიჰქრის მაგისტრალით, რომელიც აერთებს შატის ორ პატარა ქალაქს — ჯორჰათსა და სიბსაგარს. გზის გაყოლებით პატარ-პატარა ტბებში, ხალიჩასავით რომ დაუფარავს ნაზ-ვარდისფერ ყვავილებს, რომლებიც საპნის ქაფს მოგაგონებს, კამეჩები წყვანან. თეთრ ძასილის ნიშნად გარინდულან ყანჩრები.

მოულოდნელად სოფლის ჰეიზაჟის ამ იდილიაში შემოიჭრება ნავთობის ჭაბურღილთა მკაცრი გეომეტრია. ნავთობის ლაქებით დაფარული მიწის კვადრატს, რომელზეც ჭაბურღილი დგას, მავთულის ღობე აქვს შემოვლებული. თუნუქის ფირფიტაზე წარწერაა: „მთავრობის კომისია ნავთობის და ბუნებრივი გაზისა. ჭაბურღილი საექსპლოატაციოდ მომზადებულია საბჭოთა ექსპერტების მონაწილეობით“.

ისინი აქ ოცდათხნი არიან — საბჭოთა მენავთობეები, რომლებიც სიბსაგარში განაგრძობენ ესტაფეტას ინდოელ-საბჭოთა თანამშრომლობისას, რამაც სტარტი აიღო შატაში ჯერ კიდევ 1957 წელს. ჯგუფის ხელმძღვანელი ეგვენი გავრილოვი გეგიამბობს მუშაობაზე, მოქაჯის ბურღვის ციფრები. მაგრამ ვერავითარი არითმეტიკით ვერ გაზომავ საბჭოთა სპეციალისტების მრომითს თავდადებასა და ენთუზიაზმს. ასამის ნავთობის საბადოებზე ირიში იოო პირობებში როდი მიმდინარეობს. ზაფხულის სიცხე-პაპანაქების შემდეგ, ივლისიდან, ნოემბრამდე, განუწყვეტელი მუსონური წვიმია. მოსკიტის საწინააღმდეგო ბადეები ვერ გიხსნის მწერთა ტუნდებისაგან. „ჩრრილი ჭამს პირსახოცებს, თეთრეულს“, — ჩიკიან ჩვენი ქალები. მაგრამ ყოველ საღამოს, სამუშაო ცვლის ბოლოს, ჭაბურღილების აპარატურა ვერარგაგაყვანის ახალ მეტრებს აღნიშნავს. აქ იბადება ახალი ინდუსტრიული ასამის მომავალი.

ასამი, იანვარი.

ვითარდება სსრ კავშირ-ირანის თანამშრომლობა

თეირანი, 24 იანვარი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ვ. ნ. ნოვიკოვმა, რომელიც ირანში იყო ირანის მთავრობის მოწვევით, საგანგებო ფოსტით ირანის მთავრობასთან გაწყვიტა დიპლომატიური ურთიერთობა.

ჩვენ ირანში ჩამოვედით როგორც ამ ქვეყნის მთავრობის სტუმრები. გულთბილად და გულითადად შეგვხვდნენ როგორც ოფიციალური პირები, ისე საწარმოთა და დაწესებულებათა წარმომადგენლები, სადაც კი ვიყავით.

გვქონდა შეხვედრები სახელმწიფოს მეთაურთან შაჰინშაჰ მოჰამედ რეზა ფეჰლევისთან, პრემიერ-მინისტრ ამირ აბას ჰოვეიდასთან და სხვა პირებთან. ამ შეხვედრებს დროს ირანის სახელმწიფო მოღვაწენი კმაყოფილებით აღნიშნავდნენ, რომ წარმატებით ვითარდება თანამშრომლობა ჩვენს ქვეყანასთან და ხაზს უსვამდნენ თავიანთ მისწრაფებას კიდევ უფრო განამტკიცონ სსრ კავშირისა და ირანის ურთიერთობა. ჩვენი მხრივ, ჩვენც აღვნიშნავდით, რომ სსრ კავშირს სურს კეთილმეზობლური ურთიერთობის გაფართოება.

საუბრების დროს აღინიშნა, რომ მნიშვნელოვნად გაფართოვდა ჩვენი ქვეყნების ეკონომიური ურთიერთობა და ვაჭრობა. ირანის მოღვაწეებმა ამასთან გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებანი, თუ რა გზით უნდა განვითარდეს ეს ურთიერთობა და როგორ უნდა დაიგეგმოს გრძელვადიან საფუძველზე. ჩვენ განვაცხადეთ, რომ საბჭოთა მხარე მზად არის შეისწავლოს ეს წინადადებანი, ამასთან აღვნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირს დიდი შესაძლებლობა აქვს გაიფართოოს მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდება ირანში.

გავეცანით ძირითად ობიექტებს, როგორიცაა ისპაანის მეტალურგიული ქარხანის მშენებლობა და ტრანსირანის მაგისტრალური გაზსადენის გაყვანა, რის შედეგად შეგვექმნა შთაბეჭდილება, რომ სამუშაოები გათვალისწინებულ ვადებში სრულდება. საბჭოთა და ირანელი სპეციალისტები კარგად მუშაობენ და უკვე ბევრი რამ არის გაკეთებული.

გაზსადენი რთულ გეოლოგიურ და კლიმატურ პირობებში გაპყავთ. მაგრამ, საბჭოთა და ირანელ სპეციალისტთა მეცადინეობით მილები უკვე ჩადებულია 102 კილომეტრზე და მომზადებულია 157 კილომეტრი ტრანშეები.

ინდოეთი

იქ, სადაც ბრაჰმაპუტრა მიედინება

26 იანვარს ინდოეთის რესპუბლიკის გამოცხადების მე-19 წლისთავია. ახალი ამბების საagენტო მკითხველებს სთავაზობს ამ ქვეყნის ერთ-ერთი კუთხის — ასამის შტატის ჩანახატს, რომელიც კორესპონდენტ ვ. სიმონოვს გაუკეთებია.

ქალაქ ტომი ოდითვე დიდებას უგალობს თავის მამა-პაპათა მიწა-წყალს — ასამს. შემჩნეულია, რომ ინდოეთის გეოგრაფიულ რუკაზე ამ შტატის თავისებური მოხაზულობა მამალს მოგაგონებს. „ბოლოს“ ბუმბულით სილუეტი ოდნავ ეხება „მატერიკის ინდოეთს“, ხოლო ტანი ლაღად ზეაწეული ბიბილოთი და ნისკარტით მიმართულია ტიბეტისა და ბირმისაკენ...

ასამის ტურისტული ცნობარები ღღიდე ნუსხავენ მოგზაურებს მაგიური სიტყვით — „ტომები“. დიახ, შტატის მთიან, ტყიან რაიონებში, სადამდეც არ მიუღწევიათ ტელევიზონის სადენებს, სადამდეც არ მისულან ელექტროქსელის ანძები, ცხოვრობს 25 ტომი, უფრო ზუსტად თემი ცხოვრების პრიმიტიული წყობით, რომლის იქითაც ძველი ტრადიციების, წეს-ჩვეულებების, რელიგიური წარმოდგენების ურთულესი სამყაროა. ქჰასის ტომში, მაგალითად, მმართველები ქალები არიან. მატრიარქატი, რომელსაც ხშირად აღიქვამთ მხოლოდ როგორც ისტორიულ ტერმინს, აქ — ყოფაცხოვრების ნორმაა. მემკვიდრეობა ვადაეცემა ქალთა ხაზით, ოჯახის მეთაურის საპატიო ადგილზე ზის „კა ქჰადუმი“ — უმცროსი ქალიშვილი. სურნელოვანი ფლავის თავი, ოხშივარი რომ ასდის, ერთხელ კიდევ სიმბოლურად ადასტურებს ამ გამიჯვნას. „ფლავის თავს“, ყველაზე გემრიელს და, მაშასადამე, საპატიოს, მხოლოდ და მხოლოდ ქალები მიირთმევენ. ქჰასის მამაკაცებს ნარჩენები შეხვდებათ ხოლმე. არც ბაროს ტომის მამაკაცთა ცხოვრებაა იოლი. ქორწინების ძველებური ადათი ქალიშვილის ოჯახს უფლებას აძლევს მოიტაცოს საქმრო და გაურკვეველ ხანს ჰყავდეს დამწყვდეული. სეზამს, რომელიც საპყრობილის კარს გაღებს, ამ შეთხვევაში წარმოადგენს დათანხმება ქორწინებაზე.

რამდენიმე ათეული მილის დაშორებით კი, დედაქალაქ შილონგში კორტებზე მიმოჭქრიან თეორტანსაცმლიანი ზოგბურთელები, ბალასის იდეალურ ნოხზე დინჯად მიდი-მოდიან გოლფის მოთამაშეები. დინამიკები ახალგაზრდათა მტკიცე წყვილებს უმასპინძლდებიან ინდოისეული ჯაზის კერპის ტომ ჯონსის უკანასკნელი სიახლეებით. ეს თანამედროვე ასამის ანარეკლია. მაგრამ იგი მხოლოდ ნაწილაკია ამ უზარმაზარი ბორკვებიანი, ტყიანი ქვეყნისა, რომელზეც მიაპორებს თავის ტალღებს ძველი გენერი ბრაჰმაპუტრა — ასამის სატრანსპორტო არტერია, მისი ენერგეტიკული ბაზა, თავისი სიდიადით ჯონსის სიმღერას რომ ნთქამს და თითქოს სიმბოლოა ქჰასის ჰიმნისა ბუნების ხალვათობის შესახებ.

მდინარე დაძაბულად, დაუდალავად შუამობს, როგორც ამ მხარის ადამიანები. მდიან ჩაით, ბრინჯით, ხეტყით დატვირთული კარჩამები. ბამბუკის რული ჯონსტრუქციებზე — თავისებურ ვერტიკალურ ბადეებზე — ჯამბაზებივით დადიან მებადურები.

შენიშნარია აქ, ბრაჰმაპუტრის ნაპირზე გასსენება სტრიქონებისა ინგლისის კოლონიურ ხელისუფალთა ემისრის მოხსენებითი ბარათიდან, რომელმაც 1861 წელს წინადადება წამოაყენა „უარი ვთქვათ პროვინციის განვითარებაზე“. ემისარი იმოწმებდა „ცუდ გზებს“ და „იზოლაციის სანშილი ვრცნობას“, რომელიც მას ასამში დაეუფლა. სხვანაირად ეკუთრებდნენ ასამს ინდოეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები. კი არ წარმალათ პროვინციის მომავალი, არამედ დაენახათ, განეკვრიტათ იგი — აი რაზე იყო დამყარებული მთრული მთის მათი აღქმა.

1957 წლის დეკემბერში ასამი ინახულა ჯავაჰარლალ ნერუმ. „ასამი ადამიანის გონებასა და ხელებს მოუწოდებს, — წერდა იგი მოგზაურობის შემდეგ, — მას ბედნიერი ხვედრი ელის“... თავის სტატიაში ჯ. ნერუ შეეხო იმ დროის მწვავე პრობლემებსაც: ჩაის პლანტაციების მუშების მძიმე მდგომარეობას, ოპიუმის მასობრივად წყვეა — ასამის ღარიბ-ღატაკთა ამ უბედურებას.

დღეს, 20 წლის შემდეგ, ახალი, დამოუკიდებელი ინდოეთის ასამში, მე ვესაუბრები შტატის მთავრობასთან არსებული კოოპერაციის დეპარტამენტის ხელმძღვანელს კ. ხ. ბარუას.

— ახლა ეს სტატია ისტორიული მატიანის ფურცელია, — შენიშნავს ბარუა. — ალტაიელებს იწვევს განცვიფრების უნარი, რომელიც მოპოვებოდა პანდიჯის (დიდი მოძღვარი, მიმართვა ჯ. ნერუსადმი — ვ. ს.), მის შეფასებათა სიზუსტე. ვეფხვიან საფეძველზე განვითარებამ, რაც დამოუკიდებლობის პირველ წლებში დაიწყო, მართლაც გარდაქმნა ასამი. დასავლეთიდან მოსული ქრისტიანი მისიონერები თანდათანობით გამოდიან ინდოელ პედაგოგთა აზრამ, რომელშიც 14 ათასზე მეტი კაცია. გაჩნდა ბიბლიოთეკები, რომლებიც წინათ სრულებით არ ყოფილა სოფლებში. სოფლის მეურნეობაში, სადაც დასაქმებულია შტატის მოსახლეობის 60 პროცენტი, პოზიციებს განიმტკიცებს კოოპერაცია. იქმნება კოოპერაციული შაქრის ფაბრიკები, ხე-ტყის სახერხი ქარხნები. მთავრობის ორგანიზებმა უკანასკნელ ხანს თესლისა და იხვიტარის შესაძენად ფულადი სესხი მისცეს 520 ათას გლეხთა ოჯახს.

ბარუამ თვალი შეავლო რუკას, სადაც ინდოეთის აღმოსავლეთ საზღვართან ამაყად წამოჭიმულია მამლის სიულეტი. ასამს ახლა საამაყო აქვს: ინდოეთში ყოველი მეორე ფინჯანი ჩაი დაყენებულია ასამის ოქროსფერი, სუნნელოვანი ჩაით. სწორედ ის პლანტაციები, რომლებსაც თავის სტატიაში ჯავაჰარლალ ნერუ იხსენიებდა, ახლა ინდოეთის ჩაის ფთოლის მთელი მოსავლის ნახევარზე მეტს იძლევიან. ინდოეთის ჩაი ახლა მიდის როგორც შინაგან მოხმარებაზე, ისე საექსპორტოდაც.

...მანქანა მიჰქრის მაგისტრალით, რომელიც აერთებს შატის ორ პატარა ქალაქს — ჯორჰათსა და სიბსაგარს. გზის გაყოლებით პატარ-პატარა ტბებში, ხალიჩასავით რომ დაუფარავს ნაზ-ვარდისფერ ყვავილებს, რომლებიც საპნის ქაფს მოგაგონებს, კამეჩები წყვანან. თეთრ ძასილის ნიშნად გარინდულან ყანჩრები.

მოულოდნელად სოფლის ჰეიზაჟის ამ იდილიაში შემოიჭრება ნავთობის ჭაბურღილთა მკაცრი გეომეტრია. ნავთობის ლაქებით დაფარული მიწის კვადრატს, რომელზეც ჭაბურღილი დგას, მავთულის ღობე აქვს შემოვლებული. თუნუქის ფირფიტაზე წარწერაა: „მთავრობის კომისია ნავთობის და ბუნებრივი გაზისა. ჭაბურღილი საექსპლოატაციოდ მომზადებულია საბჭოთა ექსპერტების მონაწილეობით“.

ისინი აქ ოცდათხნი არიან — საბჭოთა მენავთობეები, რომლებიც სიბსაგარში განაგრძობენ ესტაფეტას ინდოელ-საბჭოთა თანამშრომლობისას, რამაც სტარტი აიღო შატაში ჯერ კიდევ 1957 წელს. ჯგუფის ხელმძღვანელი ეგვენი გავრილოვი გეგიამბობს მუშაობაზე, მოქაჯის ბურღვის ციფრები. მაგრამ ვერავითარი არითმეტიკით ვერ გაზომავ საბჭოთა სპეციალისტების მრომითს თავდადებასა და ენთუზიაზმს. ასამის ნავთობის საბადოებზე ირიში იოო პირობებში როდი მიმდინარეობს. ზაფხულის სიცხე-პაპანაქების შემდეგ, ივლისიდან, ნოემბრამდე, განუწყვეტელი მუსონური წვიმია. მოსკიტის საწინააღმდეგო ბადეები ვერ გიხსნის მწერთა ტუნდებისაგან. „ჩრრილი ჭამს პირსახოცებს, თეთრეულს“, — ჩიკიან ჩვენი ქალები. მაგრამ ყოველ საღამოს, სამუშაო ცვლის ბოლოს, ჭაბურღილების აპარატურა ვერარგაგაყვანის ახალ მეტრებს აღნიშნავს. აქ იბადება ახალი ინდუსტრიული ასამის მომავალი.

ასამი, იანვარი.

მსოფლიო დღეს

უცხოეთის [illegible] დეკეშათ[illegible] [illegible]

საქაგენტოები იუწყებიან

უცხოური კალეიდოსკოპი

ფითელი თოვლი

ფითელი თოვლი, რაც იშვიათი მოვლენაა შვეიცარიისათვის, მოვიდა ამ დღეებში ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში. მეტეოროლოგიურმა სამსახურმა გაზეთ „სვენსკა დაგბლადეტის“ შეკითხვაზე ბუნების ამ უცნაურობის შესახებ ასეთი პასუხი გასცა:

მტვრის წითელ-ყავისფერი ნაწილაკები, რომლებმაც თოვლი შეაფერადა, შვეიცარიაში უკრაინიდან მოხვდა, ისინი ატმოსფეროში აიტაცა ძლიერმა ქარებმა მიწის უთოვლო, მშრალი ზედაპირიდან. ატმოსფეროს მაღალ ფენებში მტვრის ნაწილაკებმა ჰაერის ნაკადთან ერთად ბალტიის ზღვით შვეიცარიი გადაინაცვლეს, აქ კი თოვლთან ერთად მიწაზე დაეშვნენ.

განაგრძობდა რა გადაადგილებას ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით, „მტვრიანი თოვლის“ ეს ნაკადი ფინეთშიც მოხვდა, სადაც წითელი ფერის თოვლი ქალაქ ნაანტალის რაიონში მოვიდა.

სპილო — ძიძა

ინგლისის მოხეტიალე ცირკის მოსამსახურე ბილი სმარტი ხშირად იძულებული ხდება თავისი ათი თვის შვილი მოსავლელად დაუტოვოს სპილო ბირმას. სმარტი ამტკიცებს, რომ ბირმა თავის უჩვეულო მოვალეობას კარგად ართმევს თავს. მაგრამ ზოგჯერ ისეც ხდება, რომ მისი მოსავლელი ბავშვი ცხარე ცრემლით ტირის, და არცთუ უბიზეზოდ. ეს მაშინ, როცა დაუდევარი ძიძა ბავშვს ბოთლ რძეს გამოსტაცებს...

ფოტო ეურნალ „ზბერნიდან“.

აფრიკაში სამოგზაურო

ასოგით ცნობისმოყვარე შეიკრიბა პარიზის „რენოს“ კლუბის შენობის წინ, რათა გზა დაეღოცათ ორი ფოტოკორესპონდენტისათვის, რომლებმაც ავტომანქანით მთელი აფრიკის შემოვლა გადაწყვიტეს.

პარიზის ერთ-ერთი ფოტოსაგენტოს რეპორტიორმა თომას ჟოსელენმა და მისმა მოლაბელმა კოლეგამ ენრიკო რობერტომ გამოთვალეს, რომ მათ „რენო-4“-ის მარკის ავტომანქანით მოუხდებათ 40 ათასი კილომეტრის გავლა. მოგზაურობა აფრიკის კონტინენტზე მაროკოდან დაიწყება. შემდეგ მოგზაურები აფრიკის სიღრმეში შეაღწევენ, გაიარეან ნიგერიას, დაგომეას, კონგოსა და სხვა ქვეყნებს. აფრიკის ყველაზე უკიდურეს სამხრეთ ნაწილში რომ ჩავლენ, ავტოტურისტები ფოტოკამერებით ჩრდილოეთისაკენ კონტინენტის აღმოსავლეთ სანაპიროთი გაემართებიან და მოგზაურობას არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკაში დასრულებენ.

ფუტკრები — მკვლელები

ბრაზილიელი პროფესორი ელიას დე პასო, როგორც ყოველთვის, კვირადღეს ქალაქ სორის მახლობლად თავის ფერმაში ატარებდა. უეცრად მას თავს დაესხა დიდრონი მწერების მთელი გუნდი და სასტიკად დაკბინეს. რა არ იღონეს პროფესორის გადასარჩენად, მაგრამ ვერავითარმა თანამედროვე შხამსაწინააღმდეგო საშუალებამ ვერ იმოქმედა. და იგი ორ საათში გარდაიცვალა.

მკვლელები აღმოჩნდნენ აფრიკიული ფუტკრები, იმ 25 დედაფუტკრის შთამომავლები, რომლებიც 12 წლის წინათ აფრიკიდან ბრაზილიაში ჩაიყვანეს ბრაზილიური ფუტკრის პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით ექსპერიმენტების ჩასატარებლად. რამდენიმე აფრიკულმა ფუტკარმა მოახერხა სან-პაულუს საცალი სადგურიდან გაფრენა. ისინი მალე გამრავლდნენ და ქვეყნის სხვადასხვა რაიონს მოედვნენ.

აფრიკული ფუტკრები — მკვლელები როგორც ადამიანების, ისე საქონლის დაუძინებელი მტრები გახდნენ. ისინი გაბოროტებით ესხმიან თავს ყველა ცოცხალ ორგანიზმს. ჯერჯერობით ეფექტურ შხამსაწინააღმდეგო საშუალებას ვერ მიაგნეს, და დღემდე უკვე რამდენიმე კაცი გახდა ამ ფუტკრების მსხვერპლი.

სკაროსი — გიგანტი

ხვალთაფუა ზღვის წყლებში ტრიპოლის მახლობლად ლიბიელმა მებადურებმა გიგანტური სკაროსი დიჭირეს. იგი ბადეში თევზებთან ერთად მოხვდა. დიდიხნის ბრძოლის შემდეგ მებადურებმა შეძლეს მისი ნავზე ათრევა და ნაპირზე გამოყვანა. გაოცებას იწვევს ამ ზღვის ცხოველის ზომები. მისი სიგანე თითქმის ორ მეტრს აღწევს. სიგრძე 90 სანტიმეტრია და წონა — 58 კილოგრამი. როგორც სპეციალისტები ამტკიცებენ, ასეთი სახისა და ზომის სკაროსები მხოლოდ ატლანტის ოკეანის ღია წყლებში და ზოგჯერ ბისკაის ყურეში გვხვდება.

გიგანტური სკაროსი საყოველთაო სანახავად გამოფენილი იქნება ტრიპოლის საერთაშორისო ბაზრობის მუზეუმში, რომელიც მიმდინარე წლის მარტის დამდეგს გაიხსნება.

ეს ეც შენი „თავისუფალი საბჭოთა“!

მოგეების ყყარო... სიბერე

კაპიტალისტები გამომგონებლობის გასაოცარ უნარს იჩენენ, როდესაც საქმე მოგების გადიდებას ეხება. ისინი, მაგალითად, ჯიბეს ისქელებენ მოსწავლეთა და ხანდაზმულ ადამიანთა შრომის ექსპლოატაციის ხარჯზე. ამ უკანასკნელ წლებში ისლანდიაში ამ „გამოგონებამ“ ფართო გამოყენება ჰპოვა. მოგებას გამოდეგებული სხვადასხვა საწარმოს მფლობელები სამუშაოდ იწვევენ ისეთებსაც, რომლებმაც 70 წლის ასაკს გადაბიჯეს. ამით ერთდროულად სამ მიზანს აღწევენ: ჯერ ერთი, მოხუცებულებს მნიშვნელოვნად ნაკლებ თანხას უხდიან, ვიდრე ახალგაზრდა მუშებს; მეორე, ისინი პროტესტს არ გამოთქვამენ შრომის აუტანელი პირობების გამო; მესამე, მათი მეშვეობით შესაძლებელია სახელმწიფოში უმუშევრობის დონის „გონიერულ“ დონემდე შენარჩუნება და პროფკავშირებისათვის საკუთარი პირობების კარნახი.

უკანასკნელ ხანს, აღნიშნავენ ისლანდიის გაზეთები, მოხუცთა უსირცხვილო ექსპლოატაციამ იმდენად ფართო ხასიათი მიიღო, რომ პროფკავშირები იძულებული გახდნენ დაეწყოთ ბრძოლა სამუშაოზე მისაღებ ადამიანთა ასაკობრივი მაქსიმუმის დასადგენად. რეიკიავიკის მთელ რიგ საწარმოებში შესაძლებელი გახდა იმის მიღწევა, რომ მეწარმეები დათანხმდნენ სამუშაოზე არ მიიღონ... 72 წელს გადაცილებული მოხუცები!

ისლანდიის პროფკავშირების მონაცემებით, რეიკიავიკის ვაჭრობის მუშაკთა გაერთიანების აქტიურ მუშათა და მოსამსახურეთა 6.1 პროცენტი 60 წელზე მეტი ხნის ადამიანებია, ხოლო „დაგსბრუნენში“ (არაკვალიფიციურ მუშათა პროფკავშირი)— 24 პროცენტი, მათ შორის 11 პროცენტი 70 წელს გადაცილებული მუშაა. ამ პროფკავშირის წევრები, როგორც წესი, ყველაზე მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევიან. ბევრი ხანდაზმული ადამიანი მუშაობს თევზსაფერ გემებზე. თევზის გადამუშავებელ საწარმოებში, მშენებლობაზე და ეკონომიკის სხვა დარგებში. „საგულისხმოა, — ხაზს უსვამდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ტიოდვილინი“, — რომ თუ რეიკიავიკის თევზის ქარხანაში ან მაცივარში შეიხედავთ, დაინახავთ ბევრ მოხუცს, თევზს რომ ამუშავებენ. კიდევ უფრო მეტი მოხუცი მუშაობს თევზის დამარილებაზე. ეს სამუშაო ახალგაზრდებს არ იზიდავს დაბალი ანაზღაურების გამო“.

მოხუც ისლანდიელთა არაადამიანური ექსპლოატაცია და მათი უსიზარულო საზოგადოებრივი მდგომარეობა ქვეყნის დემოკრატიული საზოგადოებრიობის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. ამას წინათ პროგრესული პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა ხანდაზმულთა პრობლემისადმი მიძღვნილი სპეციალური დისკუსია. მისი მონაწილენი, კერძოდ, აღნიშნავდნენ, რომ საპენსიო ასაკის (ე. ი. 67 წლის) ადამიანთა უმრავლესობა, რომელსაც მინიმალური საარსებო სუბსიდია არ გააჩნია, იძულებულია რამე სამუშაო ეძებოს. მოხუცებულობის გამო დახმარება არაკვალიფიციური მუშის მინიმალური ხელფასის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენს. ეს კი მათ იძულებულს ხდის უარი თქვან დამსახურებულ დასვენებაზე და განაგრძონ შრომა ყოველგვარ პირობებში.

გულგატეხილობა, პესიმიზმი, უიმედობა — ასეთია ხანდაზმულ ისლანდიელთა ბეიღრი, — წერდა ამასთან დაკავშირებით გაზეთი „ტიოდვილინი“.

„ლა სკალას“ პრემიერებენ

სახელგანთქმული მილანის „ლა სკალას“ საოპერო თეატრი ავარიულ მდგომარეობაშია. დროებით მოხსნილია ყველა სპექტაკლი. როდესაც წინა კვირის პარასკევს დილით მაყურებელთა დარბაზში დამლაგებლები მოვიდნენ, მათ დაინახეს, რომ პარტერის სავარძლები ჩამონგრეული ბათქაშისა და კირის მტვრით იყო დაფარული. მაღლა რომ აიხედეს, ამოიოხრეს: 18 მეტრი სიმაღლის ჭერზე უზარმაზარი ცენტრალური ჭაღის გვერდით დიდ ხვრელს პირი დაეღო. ღამით იქიდან ჩამონგრეულა რამდენიმე კვადრატული მეტრი მოხატული ბათქაში, რომლითაც სქელ ფენად დაფარულია ჭერის რთული კონსტრუქცია. საბედნიეროდ, ეს მოხდა სპექტაკლის დამთავრებიდან რამდენიმე საათის შემდეგ (იმ დღეს ვერდის „დონ კარლოსი“ იდგმებოდა), და არავინ დაზიანებულა.

ახლა „ლა სკალას“ დარბაზში ლითონის ხარაჩოებია აღმართული, და სპეციალისტები გულდასმით ათვალიერებენ ჭერის კონსტრუქციებს, რათა დაადგინონ, თუ რამდენად სერიოზულია ავარია.

„ლა სკალას“ თეატრი აიგო 1778 წელს არქიტექტორ ჯუზეპე პიერმარინის პროექტით და მას შემდეგ თითქმის უცვლელად არის დაცული. მხოლოდ 1830 წელს მისი ულაზათო ფასადი ორ რიგი სვეტებით დაამშვენეს, თუმცა ვერც ამან დაუკარგა მას სისადავე და უბრალოება. 1943 წელს თეატრი სერიოზულად დაზიანდა დაბომბვის გამო. იგი შეაკეთეს და აღადგინეს 1946 წელს.

უცხოეთის პრესის ფურცლებზე

მოგვითხრობენ მოონები

ბომბეის ეურნალ „ბლიტცში“ დაიბეჭდა ინდოელი მოგზაურის კოლაბავალის საუბარი ადამიანებთან, რომლებიც მონებად გაყიდეს. ერთი ასეთი უბედურთაგანია არაბი ამიდი, რომელიც მონად გაყიდეს საუდის არაბეთში. ი ი რას უყვება იგი:

— ერთხელ მთელი ჩემი ოჯახი სალოცავად გაემგზავრა მექაში — წინასწარმეტყველ მაჰმადის დაბადების ადგილას. ერთმა ვაჭარმა და მისმა კამპანიონმა მექისაკენ მიმავალ ხომალდზე აგვიყვანეს, მაგრამ როგორც კი გემი საუდის პირველსავე ნავსადგურში შევიდა, ჩვენ უბილეთო პილიგრიმებად გამოგვაცხადეს და საპყრობილეში ჩაგვყარეს. საუდის არაბეთში პატიმრებს საჭმელს არ აძლევენ. მათ დღეში ერთხელ თუ ორჯერ მარტო წყალს ასმევენ. საპყრობილეში ექვსი თუ შვიდი დღე ვიყავით, ბოლოს მამაჩემმა გადაწყვიტა მონად გავყიდე, რათა ოჯახის დანარჩენი წევრებისათვის ფულუმაპური ეშოვნა...

ასე მიჰყიდეს ამიდი მ ე ი ლ ა რ შეიხს, რომელსაც დიდი ბარაქმხანა ჰქონდა, ახალგაზრდა მონა დასახეჭურისეს. დასახიჩრებული და უუფლებო იგი თავისავით უუფლებო ქალებს დარაჯად დაუყენეს.

არაბეთის ნახევარკუნძულის მეორე ბოლოშიც — მასკატშიც აღმოაჩინა კოლაბავალამ მონათმფლობელები. ერთ-ერთმა უფლებაყრილმა მონამ, ვინმე ხალაბმა მას უთხრა:

— რომ გამიგონ თქვენთან ვლაპარაკობდი, ან მათრახებით მცემენ ან ენას ამომაძრობენ... არ შემიძლია დავივიწყო ერთი ჩემი თანამემამულის საშინელი ხვედრი. იგი დაიჭ

კარლო კალაძის ორტომეული

ახალი წიგნები

კარლო კალაძე ჯერ კიდევ ქუთაისის რეალური სასწავლებლის მოსწავლე იყო, როცა 1920 წელს გაზეთ „საქართველოს კომუნისტში“ პირველი ლექსები დაბეჭდა, ხოლო 1926 წელს გამოვიდა მისი ლექსების პირველი წიგნი. მას შემდეგ აგერ უკვე ორმოც წელზე მეტია კარლო კალაძე ახალი საქართველოს მშენებელთა პირველ რიგებშია და თავისი პოეტური სიტყვით საგრძნობი წვლილი შეაქვს ქართული კულტურის განვითარებაში.

ცნობილი ქართველი პოეტის რამდენიმე ათეული წლის ნაყოფიერი შემოქმედებითი ცხოვრება ერთგვარად შეჯამებულია მისი რჩეული ლექსებისა და პოემების **ორტომეულში**, რომელიც ამ დღეებში გამოსცა **„საბჭოთა საქართველომ“.**

„გულახდილად უნდა ვთქვა,— ვკითხულობთ ორტომეულისათვის დართულ პოეტის ავტობიოგრაფიულ წინათქმაში, — რჩეული ლექსებისა და პოემების ამ ორტომში მთელი ჩემი შემოქმედებითი შესაძლებლობაა, — იგი მთელ ჩემს სიცოცხლეს წარმოადგენს! — თუმცა აქ მეათედიც არ არის იმისა, რაც ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში არაერთხელ დაბეჭდილა... ვეცადე მკაცრად მოვქცეოდი ჩემს ნაწერებს: დავტოვე მხოლოდ ის, რაც ულმობელ დროს გადაურჩა და, ჩემი აზრით, მკითხველის ყურადღებას კვლავაც იქცევს თავისი იდეურ-მხატვრული მნიშვნელობით.

რა თქმა უნდა ის, რაც დღეს აქ იბეჭდება — მიუხედავად ძველი თარიღისა — მაინც დღეანდელი დღის თანამგზავრია და თანამებრძოლი, თუმცა ჩემ პირველ სულისთქმით სუნთქავს, დაწერის დროს რომ გაჩნდა ავტორს! — ამიტომაც მეტი ევალება არჩევანს. ...თვით ლექსებში სხვა რა უნდა ამოიკითხონ, თუ არა ჩემი ცხოვრების ამბავი, ფიქრი და გულისთქმა?!“.

პოეტის ცხოვრების ამბავი, ფიქრი და გულისთქმა კი ამიტომ არის საინტერესო მკითხველისათვის, რომ იგი მთელი თავისი ცხოვრებითა და შემოქმედებით მჭიდროდ იყო დაკავშირებული მშობლიურ ქართველ ხალხთან, მხარდამხარ მოჰყვებოდა საბჭოთა საქართველოს და მისი ერთ-ერთი აქტიური მშენებელი იყო.

ორტომეულის თვითეული წიგნი რამდენიმე პოეტური რეალისაგან შედგება. პირველი ტომი— „ოციანი და ოცდაათიანი წლები“, „უჩარდიონი“ (პოემა), „ხერთვისის განთიადები“, „დიდი სამამულო ომი. თბილისი“, „შეხვედრები ბრძოლის გელზე“, „სიმღერები დნეპრის პირად“, „ისევ მშობლიურ სოფელში“, „მზე ცეცხლის კვამლში ამოდიოდა“ (პოემა); მეორე ტომი — „მე ჩემი გულით, ჩემი ქართულით“, „კლდეთა ფურცლები“, „ფიქრი გზადაგზა“, „შავი ზღვის პირად სახლი ავაგე“, „სამოციანი წლები. ლირიკა“, „ჩემს ბაღში“, „მედიანდი“ (პოეტური ნოველა), „უფლისცოხის თქმულება“ (დრამატული პოემა).

ორტომეული გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. დაბეჭდილია პოეტის პორტრეტები, შესრულებული დ. ერისთავის (I ტომში) და ლ. ჯრიგოლიას (II ტომში) მიერ. ორტომეულის რედაქტორია ალ. გომიაშვილი; მხატვარი ირ. ჯანაშვილი.

ციხეური ეკრანი მთებში

უაზბეგი. (საკ. კორ.). ჯვრის ეროვნულ ბიბლიოთეკის გადაღმა, თერგის ხეობაში ამას წინათ საეკსპლოატაციოდ გადასცეს ტელევიზიის სარეტრანსლაციო სადგური, რომლის საშუალებით შორეულ მთებში ადამიანები თავისუფლად იღებენ თბილისის სატელევიზიო სტუდიის გადაცემებს. ახლა რაიონის სოფლებში ყოველ საღამოს კიაფობს ასობით ცისფერი ეკრანი.

გახმაროს მთის კალთებზე

ჩოხატაური. (საკ. კორ.). ბახმაროს მთის კალთებზე გაშენებულ სოფელ ზოტის მოსახლეობას საუკეთესოდ ემსახურება სოფლის კლუბი. აქ ხშირად იმართება მხატვრულ-კულტურული ღონისძიებები, კონცერტები, კითხვა-პასუხის საღამოები.

მაღალმთიანი სოფლის კლუბის თანამშრომლები უ. ზოიძე, მ. მიქელაძე მთელი მონდომებით მუშაობენ და სისტემატურად ატარებენ კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებებს. მუშაობის ჩინებულად დაყენებისათვის რაიონის კულტურის განყოფილებამ ამ დღეებში კლუბს გადასცა ახალი ტელევიზორი.

ახალი სპექტაკლები. კონცერტები

● **გათუმის** რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ, რომელსაც ჯ. ანანიძე ხელმძღვანელობს, ჯარნალის კლუბში გამართა კონცერტი. აგიტმხატვრული ბრიგადა რაონის ფარგლებს გარეთაც ხშირად გამოდის. მაგალითად, ისინი კონცერტებით იყვნენ ადიგენისა და ასპინძის რაიონებში.

ნ. ქათამაძე.

● **შუახევის** კულტურის რაიონულ სახლში საინტერესო კონცერტი გამართა მეზობელი ხულოს რაიონის კულტურის სახლის აგიტმხატვრულმა ბრიგადამ (ბრიგადის ხელმძღვანელი ს. თავართქილაძე), შესრულებულ იქნა ცეკვები „ხორუმი“, „განდაგანა“, „აზერბაიჯანული“ და სხვა, აგრეთვე სკეტჩები და სიმღერები.

დ. გვიანიძე.

● **საპამშირო** ფესტივალის ლაურეატმა ცაგერის სახალხო თეატრმა წარმოადგინა ა. აბშილავას „მარუხის ტრაგედია“, რომელიც მიეძღვნა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისა და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს. სპექტაკლი დადგეს ს. და მ. ჯოჯალიანებმა.

მ. უურაშვილი.

ყოფილხართ, გინახავთ ეს ქალაქი?

პირველი თოვლი მოვიდა ცხაკაიაში, ასეთი სათაური მისცა ამ ფოტოსურათს მისმა ავტორმა — ა. ჩარკვიანმა.

ჭალაში ხოხობები ყივიან

ეს კეთილშობილური საქმეა

ტყეს ადამიანის მიზიდვის ჯადოსნური ძალა აქვს. ჯერ არ გამიგონია, ტყიდან დაბრუნებულს კაცს დაეჩივლოს, დავიღალეო. ტყეში დაღლილები მიდიან და იქიდან დასვენებულები ბრუნდებიან...

ხშირად გვსმენია ამა თუ იმ ცხოველზე ან ფრინველზე, გადაშენების გზას ადგანაო. თავისთავად რომელი ფრინველი ან ცხოველი ამოწყვეტს თავს? ისევ ჩვენ უნდა მივეშველოთ, ხელი უნდა შევუწყოთ, რომ მომრავლდნენ.

ეს ამბავი ყველას უნდა აღელვებდეს.

დიდი სიამოვნება ვიგრძენი, როცა ერთ დღეს საქართველოს ავტოტრანსპორტის სამინისტროს მონადირეთა ერთ ჯგუფში მოვხვდი. ეს იყო ამ ცოტა ხნის წინათ. მონადირეებმა შორეული მგზავრობა შემთავაზეს და გზას დავადექით. უკან მოვიტოვეთ წითელი წყაროო და ალაზნის ჭალებისაკენ გავწიეთ. გავლიეთ კოტაბა სოფელი ქვემო ქედი, გავლიეთ კახეთის ზეგანი. რძესავით ბურუსი დაწოლილიყო ზეგანს ქვემოთ, ალაზნის ჭალაზე. ვიდრე ხეობაში ჩავეშვებოდით, ნისლს ზემოთ კავკასიონის დაბლილი ქედი დავინახეთ.

ხეობის დამრეცილი, ნისლით დაბურული გზა რომ ჩავათავეთ, გადაიკარა. მანქანა შევჯაბეულზე წავიდა. ალაზნისპირა ჭალებში ტყე შეუფოთლავი მოჩანდა, მაგრამ ახლაც შეენარჩუნებინა თვალის მიმტაცი ძალა.

ტყის პირას დაბალი ბუჩქნარია, მერე სამოვრები: სამოვრების კალთები კახეთის ზეგანზე, შირაქის განთქმული ველისკენ არის აფენილი. აქ არის ქვემოქედელთა და არხილოსკალოელ კოლმეურნეთა ფერმები, სადაც უამრავი საქონელი და ფრინველი ჰყავთ. ალაგალაგ მოჩანან ცხვრის პატარა ფარები, კამეჩები, ძროხები... ტყის პირას უშიშრად დასეირნობენ წეროები.

როცა ამ ადგილებს მივუახლოვდით, მანქანა წამით შეჩერდა ცისფრად შეღებილ რკინის ფრინჩოთან, რომელსაც დიდი წითელი ასოებით ეწერა „აქ ნადირობა აკრძალულია“. ქვემოთ კი შავი მომცრო ასოებით იყო გამოყვანილი: „საქართველოს სსრ ავტომტრანსპორტის სამინისტროს მონადირეთა ამხანაგობის საჩვენებელი ნაკრძალი“.

რამდენიმე დღის წინ ავტოტრანსპორტის მინისტრის მოადგილე რობერტ ლეიაშვილი მეუბნებოდა:

— ჩვენ, ავტოტრანსპორტელმა მონადირეებმა, გადავწყვიტეთ ალაზნისპირა ერთ-ერთ ჭალაში დავიცვათ და მოვამრავლოთ ხოხობი, დურაჯი, კურდღელი. ამ ტყეში ახლა დურაჯი და კურდღელი არ არის, ჩვენ უნდა მოვაშენოთ. ხოხობიც ძალზე ცოტა იყო, მაგრამ ახლა... არაფერს გეტყვით, სჯობს თქვენი თვალით ნახოთ. რასაკვირველია, ამას ყველაფერს შემდგომი მახობრივი ხოცვისათვის კი არ ვაკეთებთ. მონადირეები ახლა სხვა საქმეს მივდევთ. ჩვენ გვინდა ტყის მშვენიერებით გავიხაროთ, ცხოველებთა და ფრინველებით სავსე იყოს ჩვენი ტყეები. სულ ახალი წამოწყებაა ეს ჩვენი საქმე და უკვე გულს უხარია, როცა ნაკრძალში მოხვდებით.

...მანქანამ კორტოხს შეუტია და ფინურ, სამოთახიან სახლთან მოითქვა სული.

— ესეც ჩვენი სახლი, — თქვა ტარიელ კობერიძემ, თბილისის სატვირთო კოლონის უფროსმა, რომელიც ნაკრძალის მეურნეობის ხელმძღვანელიც არის. ეს კაცი ნადირობის ძველი ტრფიალია. როცა ალაზნის ჭალას გაავლო თვალი და მაღლა, კავკასიონს გახედა, ვიგრძენი ბუნების რაოდენ დიდი სიყვარული ბუდობდა ამ ახალგაზრდა კაცის გულში.

მონადირეთა სახლი ჯერ დაუმთავრებელია. ძველებური ქართული ბუხრები კი უკვე გაუმართავთ. მალე ეს პატარა სახლი ავტოტრანსპორტელ მონადირეთა ქეთილმოწყობილ სასტუმროდ გადაიქცევა.

აქედან მოჩანს კავკასიონის გაშლილი ქედი, ალაზანი, ტყე და ორიოდე ტბა. სივრცე ვრცელი და ლაღია. სხვას უკეთეს სანახაობას ვერც ინატრებს კაცის თვალი.

კორტოხიდან ტყისაკენ დავეშვით.

— შეხედეთ, — მომმართა ტარიელ კობერიძემ და მანქანა შეჩერდა. ჩვენს წინ, სულ ათიოდე ნაბიჯზე, ორი მამალი ხოხობი ამაყად დასეირნობდა. ყელმოღერებულები და ბოლოაცქვეტილები ამ ადგილის სრულ ბატონ-პატრონად გრძნობდნენ თავს.

და როცა მათი ჭვრეტით ვტკბებოდით, პირველად გავიგონე მონადირის მთრთოლვარე, მგრძნობიარე სიტყვები:

— მართლა ცოდვაა ესროლო ამ სილამაზეს! დავაფრთხობ და ბევრი მცველი ჰყავს ალაზნისპირა ჭალაში მომრავლებულ ხოხობებს. დღეს ყველა ქვემოქედელმა და არხილოსკალოელმა კოლმეურნემ იცის, რომ ამ მიდამოებში ნადირობა სასტიკად აკრძალულია. არა ერთსა და ორ ბრაკონიერს ჩამოართვეს თოფი და კუდამოძუებული გაისტუმრეს იქიდან. ამ საქმეს ორგანიზებული ხასიათი მიეცა. ქვემო ქედისა და არხილოსკალოს კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ოსეთს ჯღუთაშვილი და მიხეილ კობაიძე, გარდა იმისა, რომ სანაქებოდ უძღვებიან თავიანთ საქმეს, გულისყურით ეკიდებიან იმასაც, რასაც მათი მიწაწყლის ფლორისა და ფაუნის დასაცავად მოსული შეფები ეწვევიან.

ავტოტრანსპორტელთა ამ კეთილშობილ საქმეშიც შეფობას თავიდანვე კეთილად განწყვნენ წითელწყაროს რაიონის თავკაცები. როცა საქართველოს კპ წითელწყაროს რაიკომის პირველ მდივანს ამირან გონაშვილს ნაკრძალის თაობაზე გავესაუბრეთ, მან გვითხრა:

— ყოველ კეთილ საქმეს მხარდაჭერა უნდა. მე პირადად არავარ ნადირობის ტრფიალი და თუ ვინმე დარაჯად დაუდგება და დაიცავს გადაშენების გზაზე დამდგარ ცხოველებსა და ფრინველებს, მას წინ როგორ გადავუდგებით! პირიქით, ხელსაც შეეწყობთ. ავტოტრანსპორტელებს მხარში ამოუდგნენ რესპუბლიკის მონადირეთა კავშირი, საბუთ მეურნეობის სამინისტრო. კარგ საქმეს, მართლაცდა, გამოსარჩლება უნდა, ორივემ გამოჩნდებიან ისეთნი, რომლებიც ეჭვის თვალით შეხედავენ. ზოგს არ ესიამოვნება, ამ ადგილებს „უცხო“ მცველები რომ გამოუჩნდნენ, ზოგი თავისუფლად ვეღარ შედის ტყეში, ხეს უნებართვოდ ვერ ჭრის, ტბაში თევზს ვერ იჭერს, იხვს ვეღარ კლავს...

ავტოტრანსპორტელები კანონის მკაცრ დამცველებად უდგანან ალაზნისპირა ჭალას. დიდი და მომქანცველი შრომის გაწევა უხდებათ. შედეგი მართლაცდა სანაქებოა, ტარიელ კობერიძეს მხარში უდგანან წნორისა და წითელი წყაროს სატვირთო ავტოკოლონების მუშაკები.

ავტოტრანსპორტელთა შრომა მძიმეა. მაგრამ როცა რომელიმე მონადირე მძღოლი თავის პატარა „სასტუმროს“ ეწვევა ალაზნისპირა ჭალაში და ორიოდე დღით მაინც გაავლებს თვალს ბუნების წიალს, როცა ტყისპირას ჩავლილს ფრთების ტკაცუნით აუფრინდებიან ხოხბები და დურაჯები, როცა გაიგონებს ხოხბის თავისებურ ამაყსა და რიხიან ყივილს და შემდეგ ღამით ამ მიდამოების სიწყნარეში მშვიდად ჩაიძირება, იგრძნობს ისეთ სიამოვნებას, რასაც ზოგჯერ მთელი თვის დასვენებაც არ აგრძნობინებს კაცს დასასვენებელ სახლსა თუ სანატორიუმში.

...თოფის ხმა არ ისმის. ჭალაში ხოხბები ყივიან.

თენგიზ გოგოლაძე.

• • •

სურათზე: დაცარიელებული ალაზანზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სპორტი

უქანასკნელ საათს

ლონდონის — [illegible] ბეჭეს საერთაშორისო საჭადრაკო [illegible] ტურნირი [illegible] 5 ტური. [illegible] 3,5 ქულა. კერესსა და გელერს 7-7 ქულა აქვთ.

სსრ კავშირის მოკეთისტთა ნაკრებმა გუნდმა მეოთხე მატჩი ოტავაში კანადის ნაკრებთან მოიგო 10:2. ფირსოვმა 6 შაიბა გაიტანა.

ბუენოს თბილისში დაიწყო „ბ“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების საკავშირო ჩემპიონატი ფრენბურთში. პირველ მატჩში გროზნოს „სპარტაკის“ ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ტაშკენტის „დინამო“ 3:0.

ინცელში (გერ) სტარტი აიღო ევროპის ჩემპიონატმა ჩქაროსნულ ციგურაობაში. ვაჟთა შორის 500 მეტრზე ჩემპიონი გახდა ი. ქელერი (გერ) — 40,3 წამი.

მოსკოვის „დინამოსა“ და „ტორპედოს“ გუნდები მონაწილეობენ სანტ-იაგოსა და მონტევიდეოს ტურნირებში. დინამოელებმა დაამარცხეს არგენტინის გუნდი 3:1, ტორპედოელებმა კი წააგეს შეხვედრა არგენტინის „ინდეპენდიენტესთან“ 1:4.

რინგზე

დღეს მოსკოვის სპორტის სასახლის რინგის კვადრატზე გადამწყვეტი პაექრობა ექნებათ პოლონეთისა და სსრ კავშირის ჭაბუკ მოკრივეებს. ეს იქნება ევროპის თასისათვის ბრძოლა, რომელიც ყოველთვის გამოირჩევა შეუპოვრობით.

ფინალში მონაწილეა იტალიის, პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის გუნდებიდან ყველაზე უკეთესი მდგომარეობა აქვს პოლონეთის ნაკრებს, რომელმაც პირველ შეხვედრებში დაამარცხა ორივე მეტოქე. საბჭოთა მოკრივეებმა ლოგში შეხვედრა, რომელიც მარშან ნოემბერში შედგა, წაგეს 5:6.

სსრ კავშირის ნაკრები ორჯერ იყო თასის მფლობელი. წელს ჩვენი გუნდი განახლებულია. ამჟერად მის შემადგენლობაში შედიან 9 ქალაქის წარმომადგენლები.

ათეულში

ბელგრადის „სპორტის“ მიერ გამართულ საახალწლო ანკეტის შედეგებით ევროპის ნაკრები ასე გამოიყურება: მეკარე — გეტტარი (ჩეხოსლოვაკია); მცველები — ნოვაკი (უნგრეთი), მური (ინგლისი), შესტერნიოვი (სსრ კავშირი), ფაკეტი (იტალია); ნახევარმცველები — ბეკენბაუერი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), რ. ჩარლტონი (ინგლისი); თავდამსმელები — ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია), ალბერტი (უნგრეთი), ეუსებიო (პორტუგალია), ჯაჩი (იუგოსლავია).

ნაკრებთა უძლიერეს ათეულში შევიდნენ: 1. იტალია (60 ქულა), 2. იუგოსლავია (48), 3. ინგლისი (44), 4. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა (18), 5. სსრ კავშირი (16), 6. უნგრეთი (6), 7-9. შოტლანდია, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი (4-4 ქულა), 10-11. ბელგია, პორტუგალია (3-3 ქულა).

კოკა ალარ ხუმრობს

37 წლის რ. კოკა, რომელიც ყველა დროის № 1 ფრანგ ფეხბურთელად ითვლება, ამას წინათ კვლავ დაუბრუნდა თავის საყვარელ თამაშს. მან ფეხბურთს რამდენიმე წლის წინ დანება თავი. რა საქმიანობას არ მოჰკიდა ხელი, მაგრამ...

ახლა კოკა ისევ თავის ძველ კლუბში „სტად დე რეიმსში“ გამოდის. ამ ოდესღაც სახელოვანი გუნდისაგან, რომელიც ორჯერ იყო ევროპის ქვეყნების ჩემპიონატის თასის გათამაშების ფინალისტი, თითქმის აღარაფერიღა დარჩა — იგი საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე ლიგაში გამოდის. კოკა აცხადებს, რომ „რეიმსი“ პირველ ლიგას დაუბრუნდება.

ეტყობა, კოკა არ ხუმრობს. მან უკვე ოთამაშა ორ მატჩში და ორი გოლის ავტორიც გახდა.

სიმართლე... ხუმრობაში

ფელეტონი

ბალეტი ყინულზე

თბილისელებს დიდი ხნის ნატვრა შეუსრულდათ: ახალი წელი თეთრად გაითენეს. ირგვლივ თოვლი არის გადაპენტილი არე-მარე.

გაიხარა დიდმა თუ პატარამ, ძალლებიც კი თოვლში ხალისით ღლაბუცობენ.

მოგეცათ ლხენა — ეს სიხარული ყველაზე მეტად თბილისის დასუფთავების ტრესტმა გაიზიარა. აქ არც ბჭობა გაუმართავთ და არც კამათი. პირდაპირ გადაწყვიტეს:

„მოსახლეობის მასობრივი კულტურული მომსახურების მიზნით თბილისში ჩამოცვენილ თეთრ თოვლს ხელი არავინ ახლოს, საზამთრო სპორტის ფაროდ გაშლისათვის სპორტსასახლიდან ე. წ. სანახაობა „ბალეტი ყინულზე“ გამოტანილ იქნას გარეთ, სუფთა ჰაერზე, რათა მასში ჩაებას დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა“.

აბა, გაგიხარიათ, ელვასავით მოედო ქალაქს საზამთრო სპორტის — მასობრივი აკრობატიკის ამბავი. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ დღისით თოვს — ღამით ყინავს.

მატულობს და მატულობს სასრიალო ყინული, და ხალხიც შეუდგა სანახაობის ყურებას. სად არ იმართება ეს საინტერესო გასართობი: ელბაქიძის დაღმართზე თუ ბარათაშვილის აღმართზე, ჭავჭავაძის, ბესიკის, ბელინსკის, კალანდაძის, პეტრიაშვილის და კიდევ მრავალ სხვა აღმართ-დაღმართზე. თვით რუსთაველის პროსპექტზეც კი. ერთი ეიფინა და ჟრიამული. მშვენივრად შეითვისა ხალხმა წინა და უკუვარდნა, დაცურება კისრის მოტეხით, ვარდნა მკერდით, დაცემა თეძოთი, პირეკუღმა ტრიალი, დაგორება მანქანის ბორბლებამდე და მრავალი სხვა აკრობატულ-ფიგურული ნახტომები.

უცხოური იუმორი

დიდი იტალიელი კომპოზიტორი როსინი საგანგებოდ მიიწვიეს. დიასახლისი ისეთი მომჭირნე გამოდგა, რომ სტუმარი სუფრიდან მთლად მშიერი დადგა. გამომშვიდობებისას დიასახლისმა უთხრა სტუმარს:

— ვიმედოვნებ, რომ თქვენ კვლავაც მობრძანდებით ჩვენთან საღილად.

— სიამოვნებით, —უპასუხა კომპოზიტორმა, — გნებავთ ახლავე!

საღალაქოში

ერთხელ, ძველ დროს, თეატრალური დალაქი პარსავდა ცნობილ საოპერო მომღერალს. უცებ დალაქმა კანი გაუკაწრა კლიენტს.

— ეს ყველაფერი ლოთობისაგან ხდება, — გაბრაზებით შენიშნა დაზარალებულმა, იცოდა რა, რომ დალაქს სმა უყვარდა.

— სავსებით სწორია. — უპასუხა დალაქმა, — არყისაგან კანი მეტად უხეშდება.

უცხოელ მხატვართა ღიმილი



— ვგონებ ძალიან აზვიადებ, ასე რომ გეშინია ბანძრისა!

„ШТЕРН“, ГАМБУРГ.

— საწყალი მამიკო! ისევ გაწუხებს უძილობა...

„ПУРЧУА ПА?“, БРИУСЕЛЬ.

იუმორესკა

მლიქვნელი

მლიქვნელი — ღრმად პატივცემულ გორგი ყარამანოვიჩს გაუმარჯოს!

გორგი — გაგიმარჯოს, ჩემო ნიკოლოზ!

მლიქვნელი — დიდი ხანია აღარ მინახიხართ. ისევ ტრესტში მმართველად მუშაობთ, ღრმად პატივცემულო გორგი ყარამანოვიჩ?

გორგი — ეჰ, ჩემო ნიკოლოზ! მას უკან ბევრმა წყალმა ჩაიარა. ჯერ იყო და მოადგილედ ჩამომაქვეითეს...

მლიქვნელი — მერე, გორგი ყარამანოვიჩ?

გორგი — მერე ტრესტის მმართველი გადამეკიდა და რიგით ინჟინრად გადამიყვანა...

მლიქვნელი — მართლა, გორგი?

გორგი — ბოლოს იმდენი ქნა, სამსახურიდანაც კი გამითავისუფლა...

მლიქვნელი — მაგ ვერ მოსვლია კარგი ამბავი, ჩემო ძორა!

გორგი — ხომ გაგიგია, სანთელ-საკმეველი გზას არ დაკარგავს. სულ მალე სამინისტროში გამომიძახეს და ერთერთ სამმართველოში დამნიშნეს ინჟინრად.

მლიქვნელი — ყოჩაღ, გორგი!

გორგი — სამ თვეში დამაწინაურეს და მმართველს მოადგილედ გადმიყვანეს...

მლიქვნელი — აფერეთ შენს ვაჟკაცობას, გორგი ყარამანოვიჩ!

გორგი — ზუსტად ერთი წლის შემდეგ კი, ჩემო ნიკოლოზ, სამმართველოს უფროსი გავხდი...

მლიქვნელი — (სახეგაბადრული) ღრმად პატივცემულო გორგი ყარამანოვიჩ, ახლაც იქ მუშაობთ?

გორგი — ორი დღის წინ, გეგმის შეუსრულებლობის გამო, მომაქვრეს სამსახურიდან...

მლიქვნელი — რას იზამ, ხდება ხოლმე, ჩემო ძორა!

თ. პირველი.

რამდენიმე სტრიქონით

● **საბჭოთა** ფრენბურთელ ვაჟთა კოლექტივები განაგრძობენ ბრძოლას ჩვენი ქვეყნის პირველობაზე. მორიგ ტურში არმიის (ცენტრალური სასპორტო კლუბის გუნდმა ალმა-ათაში დაამარცხა ადიგლობრივი „ბურევესტნიკი“ 3:1. ასეთივე ანგარიშით დამთავრდა ხარკოვისა და ოდესის „ბურევესტნიკის“ გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ოდესელებმა.

● **მმხიკოში** გაიმართა საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მეკსიკისა და დანიის ნაკრებ გუნდებს შორის. სტუმრები მთელ ყურადღებას დაცვას უთმობდნენ, მაგრამ მაინც მიიღეს საკუთარ კარში სამი ბურთი და დამარცხდნენ მშრალი ანგარიშით.

ტელევიზია

26 იანვარი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასახმარებლად — ლექცია მხატვრობით გეომეტრიაში. 10.30 — ბავშვებისათვის. „მაღვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — „მოსიცალური ეთოსკი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.30 — „ლენინგრადის საუნჯე (გადმოცემა ლენინგრადიდან), 11.45 — სკოლამდელთათვის. „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 11.55 — სატელევიზიო მრავალსერიანი დოკუმენტური ფილმი „ნახევარი საუკუნის მატიანე“ — 1934 წელი (ქართულ ენაზე), 12.45 — „მეგობრების მოკითხვები“ (ქართულ ენაზე), 14.15 — მხატვრული ფილმი „მეფოლის ბედი“, 15.00 — „სოფლის საათი“ (გადმოცემა მოსკოვიდან), 16.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის, 16.40 — კინონარკვევი, 17.00 — მოსწავლეთათვის. სატელევიზიო ჟურნალი „საპოვნელა“, 18.00 — ცენტრალური ტელევიზიის ფერადი პროგრამა — მუსიკალური გასართობი გადაცემა, 19.00 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.10 — კინონარკვევი, 19.30 — საკირაო გასართობი პროგრამა, 20.15 — „კინოაფიშა“, 20.45 — სატელევიზიო ჟურნალი „ლიტერატურა და ხელოვნება“, 21.45 — ქართული მხატვრული ფილმი „მაღა წყნეთელი“, 23.25 — გადაცემათა პროგრამა მეორე დღისათვის, 23.30 — ევროპის პირველობა ციგურებით სირბილში (გადმოცემა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან).

თეატრები

26 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ყვავილთა სამყაროში (დღისით), გრდის ტბა (საღამოს), **რუსთაველის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ბებერი მეზორნეები (დღისით და საღამოს), **რუსთაველის** სახელობის მცირე დარბაზი — ვახშმობის წინ (დღისით და საღამოს), **მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიყვარული სახეობარო არ არის (დღისით და საღამოს), **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის — ჩემი მშვენიერი ლედი (დღისით), სილვა (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — წითელქუდა (№ 24 აბონ. დღის 11 ს. და 30 წ.), კოლეგები (№ 52 აბონ. საღ. 6 ს.).

რა ვნახოთ, რა ვოვისმინოთ

27 იანვარი

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები და საცეკვაოები, 09.25 — ალ. მაჭავარიანი. კონცერტი ვიოლინისა და ორკესტრისათვის, 11.05 — საესტრადო კონცერტი, 11.30 — უკანასკნელი ცნობები, 11.45 — დაბეჭვიანი. ფრაგმენტები ბალეტ „ოლელადან“, 12.10 — ნარკვევი „ლენინის ორდენის კავალერი“, 12.25 — რ. გაბიჩვაძე. კამერული ნაწარმოებები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — სოლოვიოვ-სეროდო. სიმღერები, 14.00 — ვ. ოტროვსკი. ორატორია „ხალხის გმირობა“ (მოსკოვი), 15.30 — მოკლე ტალღაზე (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მოსწავლეთათვის. ციკლიდან „მოგზაურობა ცოდნის სამყაროში“ — ჩარლზ დარვინი. რადიოდადგმა, 18.10 — საესტრადო ორკესტრ „რეროს“ კონცერტი, 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — ვ. ოვჩინიკოვი. სონატა — ბალადა ფორტეპიანოსათვის, 19.00 — რადიომოთხრობა „იგი ლენინგრადს იცავდა“, 19.15 — სიმღერები გ. ოტსის შესრულებით, 19.30 — უკანასკნელი ცნობები, 19.45 — ო. გორდელი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 20.20 — „ამერიკის უგვირგვინო მეფეები“ (მოსკოვი), 20.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 21.00 — „ძილისპირული“, 21.15 — ვ. ემელიანოვი. „დროზე, ამხანაგებზე, ჩემზე“ — მოგონებათა წიგნიდან, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — ს. რახმანინოვი. ნაწყვეტები ოპერა „ალეკოდან“. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის საოპერო სტუდიის სპექტაკლი, 22.50 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — ბეთჰოვენი. ოცდამეთორმეტე სონატა. ასრულებს გლენ გულდი. 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგა მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЕ 03935 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.